140
1977

ჯიმინდარი

9
1977

მხატვარი რ. ცუცქირიძე

სექტემბრის ზარი

კალე ბობოხიძე

ბზე სხივთ შადრევნებს შეკრავს —
ჩნდება ნაკადი მძლავრი...
სულში იმედად რეკავს
პირველ სექტემბრის ზარი!

ცა ხევს ღრუბელთა ზეწრებს,
ნისლს ჰფანტავს ცელქი ქარი...
სკოლაში უშვებს მერცხლებს
ფართოდ გახსნილი კარი.

მოუკრებიათ ძალა,
წიგნებს მოჰკიდეს ხელი;
უკვე იწყება სწავლა
სასურველი და ძნელი...

მასწავლებელთა ნახვა
მთელს სკოლას შვებას მოჰფენს...
აღფრთოვანება ახლავს
ყველას, — აღმზრდელს და მშობელს.

პირველ სექტემბრის დილა
ჰგავს გაზაფხულის მოსვლას;
ბულბული მღერის ტკბილად —
მასაც ხალისი მოსავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ცისკარი» -77

43449

*

27 ივნისიდან 3 ივლისამდე ქალაქ ულიანოვსკში მიმდინარეობდა პიონერთა სამხედრო-სპორტული თამაში „ცისკრის“ საკავშირო ასპარეზობა, საქართველოდან ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ დუშეთის მესამე საშუალო სკოლის ცისკრელები. აი, რა გვიამბეს საკავშირო შეჯიბრებიდან დაბრუნებულმა დუშელმა მოსწავლეებმა.

*

მე ვნახე ილიჩის მერხი...

ნორჩი არმიელის ვახტანგ პაპიაშვილის ნაამბობი: ულიანოვსკში რომ ჩავედით, გვითხრეს, ხვალ ვ. ი. ლენინის მუზეუმის დასათვალიერებლად ვივდივართო. იმ სკოლასაც ვნახავთ, სადაც ბავშვობაში ვლადიმერ ილიასძე ლენინი სწავლობდაო. ამ ამბავმა ყველანი ძლიერ გაგვახარა.

დილით საყვირის ხმამ გამოგვაღვიძა. წამოვდექით. სწრაფად ვისაუზმეთ და ავტობუსებს მივაშურეთ. აი, ლენინის სახლ-მუზეუმიც.

დათვალიერება ლენინის ოთახიდან დავიწყეთ. ექსკურსიამძღოლს ყველანი დიდი ყურადღებით ვუსმენდით. მან ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აძსახველი ბევრი ისეთი ექსპონატი გვიჩვენა, რომელზედაც მანამდე მხოლოდ გაგონილი გვქონდა. ერთმა ექსპონატმა განსაკუთრებით აგვაღელვა. ეს იყო ბელადის პალტო. მას ნატყვიარები ემჩნეოდა, ნატყვიარების გარშემო კი — სისხლის კვალი. ვიცით, ეს რევოლუციის მტრების ნამოქმედარია. ამის შესახებ რომ გვიამბობდნენ, ამხანაგებს გადავხედე. სახეზე მათ აღშფოთება ეტყობოდათ.

მუზეუმიდან რომ გამოვედით, სკოლისაკენ გავწიეთ. ფრთხილად შევაბიჯეთ სკოლის დერეფანში. გვეშინოდა, იქ გამეფებული მყუდროება არ დაგვერღვია.

მუზეუმის თანამშრომელმა ერთ-ერთი კლასის კარი გააღო და მიგვიწვია. ამ კლასში სწავლობდა ლენინი ბავშვობაში. ყველა იმ მერხს მივაცქერდით, რომელზედაც წარწერაა: „აქ იჯდა ვალოდია ულიანოვი“.

მემორიალიდან შთაბეჭდილებებით აღსავსენი დავბრუნდით. ეს დღე მე და ჩემს მეგობრებს არასოდეს დაგვავიწყდება.

ვმად უნდა ვიყოთ!

ნორჩი არმიელის ამურ ქისიშვილის ნაამბობი: პიონერებს გვხიბლავს მშობლიური არმიის მებრძოლთა გმირობა და ვაჟკაცობა. როცა ისინი მჭექარე ხმით მღერიან: „Когда поют солдаты, спокойно дети спят“, გვჯერა, ნამდვილად ვერავინ დაარღვევს მშვიდობას.

ვიცით — საბჭოთა არმიელები ფხიზლად დგანან მშვიდობის სადარაჯოზე, რომ საბჭოთა ბავშვებს მუდამ დაგვნათოდეს მზე, რომელიც 1917 წლის ოქტომბერში ლენინმა აანთო.

ჩვენც, ნორჩი არმიელები, ნამდვილ ჯარისკაცებს ვბაძავთ. გვსურს მათსავით უშიშარნი და გამბედავნი ვიყოთ. ამაში ძლიერ გვეხმარება პიონერთა სამხედრო-სპორტული თამაში „ცისკარი“. სწორედ მისი საშუალებით ვეუფლებით სამხედრო სპეციალობებს.

აკი სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის 62-ე მუხლში წერია: „სოციალისტური სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის წმიდათაწმიდა ვალია“

ვადლობა დავიმსახურეთ

ნორჩი არმიელის შალვა მეზვრიშვილის ნაამბობი: რესპუბლიკურ ფინალში გამარჯვების შემდეგ საკავშირო სტარტებისათვის დავიწყეთ მზადება. დრო არ ითმენდა, ამიტომ მეორე დღესვე, დილის რვა საათზე რაზმის წევრები სკოლაში შევიკრიბეთ. დავიწყეთ სამწყობრო მეცადი-

პიონერი

9

სექტემბერი

1977

საქართველოს ა.ლკ.ყ.კ.-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ე. ანდრეაძის სახ. საქ. სსრ. სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

„ცისკრის“ რესპუბლიკური ფინალი. პატაკს აბარებს ზესტაფონელთა რაზმის მეთაური ზურაბ გაკურაძე.

ნეობა. ეს ერთ-ერთი მთავარი სპეციალობაა. აბა ისე რა ცისკრელი ხარ, თუ კარგად არა ხარ დაუფლებული სამწყობრო მომზადების ელემენტებს.

აი, ულიანოვსკშიც ჩავედით. საკავშირო ფინალი. დაიწყო დათვალიერება სამწყობრო მომზადებაში. ჩვენი რიგის მოლოდინში ძლიერ ვღელავდით. ხუმრობა ხომ არ არის, იქნებ რაიმე შეგვშლოდა!

— სწორდი, სმენა!

— ნაბიჯით, იარ! — გაისმა რაზმის მეთაურის ვახტანგ პაპიაშვილის ბრძანება. მისმა ხმამ მღელვარება გაგვიქარწყლა. ახლა მხოლოდ კარგად სიარულზე ვფიქრობდით, ყურადღებას ირგვლივ არაფერს ვაქცევდით.

იმ ადგილას რომ გავიარეთ, სადაც ჟიურის წევრები იდგნენ, კახტანგმა კვლავ გასცა ბრძანება:

— ყურადღება! სწორება მარჯვნივ!

მეთაურის ბრძანება რომ შევასრულე, ჟიურის წევრებს მოვკარი თვალი. ისინი ღიმილით გვიცქერდნენ. „ჩანს, მოვეწონეთ“, — გავიფიქრე. ამან ნორჩ არმიელებს მეტი მხნეობა შეგვმატა.

მართლაც, სამწყობრო მომზადების დათვალიერების შემდეგ, ჩვენს რაზმს მადლობა გამოუცხადეს.

დაჭრილებს დავეხმარეთ

ნორჩი არმიელის მანანა ხისფეხიშვილის ნაამბობი: „ცისკარი“ ჩვენი სკოლის პიონერების სპორტული თამაშია. მასში ყოველ წელიწადს ვმონაწილეობთ. გვინდა ჩვენი სკოლის ყოფილ ცისკრელთა ტრადიციები გავაგრძელოთ.

სანიტართა შეჯიბრებაში ოთხი გოგონა ვმონაწილეობდით. ავიღეთ ბილეთი. მასში სამი კითხვა იყო. მოტეხილობის დროს პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, არტერიული სისხლდენის შეჩერება. ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხები გავეცით. მერე პრაქტიკულად შევასრულეთ ხელოვნური სუნთქვა, „დაჭრილს“ სისხლდენა შევუჩერეთ. ბოლოს გამომცდელებს მესამე კითხვაზე ვუპასუხეთ — ვუამბეთ ჩვენს რაიონში არსებულ სამკურნალო მცენარეებზე.

კარგი პასუხისათვის მსაჯებმა შეგვაქეს.

„ცისკარმა“ დაგვამეგობრა

ნორჩი არმიელის დათო აფციაურის ნაამბობი: იცით რატომ მიყვარს „ცისკარი?“ იმიტომ, რომ იგი გვასწავლა, ერთმანეთს ვეხმარებოდეთ. ეს ერთ-ერთი მთავარი სპეციალობაა. ამ

„ცისკრის“ თამაშის დაწყებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლის სიმამაცეს, მოხერხებულობას... და კიდევ მეგობრობას.

ულიანოვსკის საკავშირო ფინალში, ერთ-ერთი ტაქტიკური თამაშის დროს მოულოდნელად ლიტველი გოგონა ცუდად გახდა. მისი თანარაზმელები დაიბნენ, არ იცოდნენ რა გაეკეთებინათ. ჩვენ ეს შევნიშნეთ და მაშინვე მივეშველეთ. გოგონას ჯერ პირველი სამედიცინო დახმარება აღმოვუჩინეთ, მერე კი გადამცემის საშუალებით ცენტრს დავუკავშირ-

— წინ! ვაშაააა!

დით და სასწრაფო დახმარების მანქანა გამოვიძახეთ.

უნდა გენახათ, რა მადლიერი თვალებით გვიცქეროდნენ ლიტველი პიონერები. ამ შემთხვევამ დაგვამეგობრა. შეჯიბრების დღეებში სულ ერთად ვიყავით. მწვერვალის აღების დროსაც ერთმანეთის მხარდამხარ ვიბრძოდით. ასპარეზობის შემდეგ ერთმანეთს სუვენირები და მისამართები გავუცვალეთ. შევთანხმდით, სწავლა რომ დაიწყება, ისინი ჩვენს სკოლაში მოვიწვიოთ.

მწვერვალზე დროშა ფრიალებს

ნორჩი არმიელის ლადო კობაიძის ნაამბობი: განთიადისას განგაშის ხმამ გამოგვაღვიძა. ნორჩი არმიელები ლოგინიდან წამოვიშალეთ და სწრაფად ჩავიცვით.

მალე ყველანი ხაზზე მოვეწყეთ და ბრძანებას დაველოდეთ. ჩვენს წინაშე დაისვა ამოცანა: „მოწინააღმდეგის“ ძალების განადგურება და მწვერვალზე დროშის ატანა.

მართალია, ყოველივე ეს თამაშია, მაგრამ ვეღარ ვითმენდით. გვინდოდა

ოპერატიულად მუშაობენ მეკავშირეები.

„ბრძოლაში“ მალე ჩავბმულიყავით. აი, ბრძანებაც გაისმა.

ჩვენმა რაზმმა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ აიღო გეზი. გორაკს რომ გავცდით, შევჩერდით. წინ მზვერავები წავიდნენ. მათ ადგილმდებარეობა უნდა დაეზვერათ, რომ მერე სვლა განგვეგრძო.

მალე მზვერავები საჭირო ცნობებით უკან დაბრუნდნენ. მეთაურს მოახსენეს, გზის ერთი ნაწილი „დანაღმულიაო“. წინ გავწიეთ. „დანაღმულ“ ადგილს გვერდი ავუარეთ და შეტევაზე გადავედით.

ის იყო წყლიანი ორმოს დაბრკოლებაც გადავლახეთ, რომ მტერმა „ტყვია“ დაგვიშინა. ჩვენ ისინი „ყუმბარებით“ გავანადგურეთ.

ხელს აღარაფერი გვიშლიდა. ვაშას ძახილით წინ გავიჭერით და მწვერვალზე დროშა ავაფრიალეთ.

ეს იყო „ცისკრის“ საკავშირო ფინალის ბოლო „ბრძოლა“.

ო. კუსიძნი.

ᲕᲔᲑᲜᲝᲑᲘᲗ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

Ჰ. ᲙᲝᲮᲠᲔᲘᲫᲔ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲔᲑᲘ

საბჭოთა ადამიანი, საბჭოთა მოქალაქე! ამ ორი სიტყვის ურთიერთდაკავშირება უაღრესად ღრმა შინაარსს შეიცავს და მთელ მსოფლიოში გაისმის, როგორც საბჭოთა ცხოვრების წესის, ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერების აღიარება. სსრ კავშირის საზღვარგარეთელი მეგობრებისათვის ეს მოკლე ფრაზა მათი სულიერი ძმების შესანიშნავი დღევანდელობისა და კიდევ უფრო ნათელი მომავლის დადასტურებაა, ხოლო ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის — სახელმწიფოებრივი სიამაყის, საბჭოური ცხოვრებისაგან მომდინარე საყოველთაო კეთილდღეობის სიტყვიერი გამოხატულება. სოციალისტური სამშობლოს შვილების ეს სიამაყე შესანიშნავად გამოთქვა ჩვენი ეპოქის დიდმა პოეტმა ვ. მაიაკოვსკიმ ლექსში „საბჭოთა პასპორტი“: „წაიკითხეთ და აივსეთ შურით: საბჭოთა ქვეყნის ვარ მოქალაქე“.

ჩვენს ხალხს მხურვალედ უყვარს სამშობლო არა მარტო მისი ლამაზი და მრავალფეროვანი ბუნების გამო, არამედ აქ დამკვიდრებული თავისუფალი ცხოვრების, შრომის, სწავლისა და განვითარების პირობების, შთამაგონებელი აწმყოსა და მომავლის პერსპექტივების, შესანიშნავი ჩვეულებების, ტრადიციების და მათი მემკვიდრეობითობის გამო. ეს ყველაფერი ერთად საბჭოთა ადამიანების პატრიოტული სულისკვეთებისა და მისწრაფებების წყაროა.

დიდი და რთული გზა განვლო საბჭოთა ქვეყანამ, და ამ გზის ყოველი მონაკვეთი მდიდარია ძნელი წარმატებებით, დაბრკოლებათა დაძლევითა და გამარჯვებებით. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა მსოფლიოში კაპიტალიზმის მსხვრევისა და სოციალიზმის შენების ეპოქას. დედამიწაზე პირველი სოციალისტური სახელმწიფოს აღმოცენებით ღირსსახსოვარი შემობრუნება მოხდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში: გაიხსნა მისი დამოუკიდებელი განვითარების, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესის ჭეშმარიტი გზა. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და კულტურული რევოლუციის, ამასთანავე ეროვნული საკითხის სამართლიანი გადაჭრის შედეგად სსრ კავშირი ისტორიულად მოკლე ვადაში გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ და ეკონომიკური პოტენციალით შორს ჩამოიტოვა ბევრი კაპიტალისტური ქვეყანა.

შემდეგ — დიდი სამამულო ომი, გერმანულ ფაშიზმსა და იაპონურ მილიტარიზმზე ჩვენი სახელოვანი გამარჯვება, ევროპისა და მსოფლიო ცივილიზაციის ხსნა ფაშისტური მონობისაგან; მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლა, ომით მოყენებული ჭრილობების მოშუშება, ეკონომიკის, განათლების, კულტურის, მეცნიერება-ტექნიკის უმაგალითო აღმავლობა; განვითარებული სოციალიზმის აშენება, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, მშრომელთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, კაპიტალიზმთან ეკონომიკურ შეჯიბრებაში უმნიშვნელოვანეს გამარჯვებათა მოსაპოვებლად გაჩაღებული თავგამოდებული ბრძოლა, როგორც უახლოესი, ისე ხანგრძლივი პერიოდის პერსპექტივების გათვალისწინება და მათი რეალიზაციის მეცნიერული კურსის განსაზღვრა.

განვლილ პერიოდში ყველა ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო მშობლიური კომუნისტური პარტია და ჩვენი ეპოქის შესანიშნავი მიღწევა — საბჭოთა ადამიანი — სულიერად მდიდარი, მორალურად წმინდა, ფიზიკურად ძლიერი პიროვნება, სოციალიზმის ერთგულებით, პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის გრძნობებით გამსჭვალული მოქალაქე. ყველაფერი ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, — ასეთია საბჭოთა სახელმწიფოს, მშობლიური კომუნისტური პარტიის სამოქმედო დევიზი. „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ დებულება — „თითოეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობაა“ — საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი პრინციპია. მისი მიხედვით მოქმედება ჩვენს ქვეყანაში წესად არის გადაქცეული; ეს პრინციპი დამკვიდრებულია კონსტიტუციის ახალ პროექტშიც.

„სახელმწიფო და პიროვნება“ — ასეა დასათაურებული პროექტის მეორე კარი, რომელშიც განსაზღვრული და დაკანონებულია სსრ კავშირის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის ძირითადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეხნობით კონსტიტუციის პროექტს

დებულებები, მათი უფლებანი და მოვალეობანი, კანონის წინაშე მათი თანასწორობა წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, ეროვნული და რასობრივი კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებების მიუხედავად. ქალს მამაკაცის თანასწორი უფლებები აქვს. თანაბარია სხვადასხვა ეროვნებისა და რასის მოქალაქეთა უფლებებიც, არავის არა აქვს რაიმე უპირატესობა და პრივილეგია.

შრომა, როგორც ყოველგვარი მატერიალური და სულიერი ღირებულების შემქმნელი, ჩვენი ახალი კონსტიტუციის პროექტში წინა რიგზეა წამოწეული. საბჭოთა მოქალაქეებს აქვთ შრომის ანუ გარანტირებული სამუშაოს მიღების უფლება ამ შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისი ანაზღაურებით, აქვთ შესაძლებლობა თავიანთი მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადების და განათლების შესაბამისად და, ცხადია, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, აირჩიონ პროფესია, საქმიანობისა და სამუშაოს სახეობა. მათთვის უზრუნველყოფილია დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის, სიბერეში, ავადმყოფობის, აგრეთვე შრომისუნარიანობის მთლიანად ან ნაწილობრივად დაკარგვისა და მარჩენალის დაღუპვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლებები, ბინის, განათლების, კულტურის მიღწევებით სარგებლობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში მონაწილეობის უფლებები. ამ უფლებათაგან თითოეული დიდ სოციალურ-ეკონომიკურ მონაპოვართა კატეგორიას განეკუთვნება, უზრუნველყოფილია შესაფერი გარანტიით, რეალური შესრულების აუცილებლობით. ეს საბჭოთა კონსტიტუციური პრინციპების დიდი ძალა და სიცოცხლისუნარიანობაა.

ბევრი სოციალური ხასიათის უფლებაა აღიარებული ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციებშიც, მაგრამ მათი აღსრულების არავითარი პირობა არ არსებობს. მინიმალურად მცირე თანხაა გამოყოფილი ადამიანის მატერიალური უზრუნველყოფისათვის შრომისუნარიანობის დაკარგვის და ავადმყოფობის შემთხვევაში, ანდა სიბერის დროს. დაზღვევა ამ სახელმწიფოებში სინამდვილეში ფიქციაა, დაკავშირებულია ათასგვარ მაქინაციასთან და მხოლოდ კომბინატორთა ხელის მოთბობის წყაროა. შრომის უფლებაზე ბევრს წერენ და ლაპარაკობენ, მაგრამ რეალურად არაფერი კეთდება. მშრომელ ადამიანს ყოველდღე ემუქრება სამუშაოს დაკარგვის საფრთხე. ამჟამად მთელ კაპიტალისტურ სამყაროში 18 მილიონი უმუშევარია და ყოველი მათგანის ხვედრია შიმშილი, უბინაობა, უუფლებობა, ლუკმაპურისათვის აქეთ-იქით წანწალი და ბოლოს უკიდურეს ხელმოკლეობაში სიკვდილი.

ასეთია „თავისუფალ სამყაროში" „დემოკრატიული ხელმძღვანელობის" შედეგი, საზოგადოების დიდი ნაწილის მატერიალური მდგომარეობა. ამის შემდეგ განა რამე ფასი აქვს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მიერ გაჩაღებულ „ადამიანთა უფლებების დაცვის" ყბადაღებულ კამპანიას?

სსრ კავშირში ადამიანი ყველაზე ფასეული სიმდიდრეა და მისი კეთილდღეობა საბჭოთა სახელმწიფოს ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ამ მიზნით ხორციელდება მრავალი ეფექტიანი ღონისძიება ჯანმრთელობის დაცვის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად და თვისებრივად ახალ სიმაღლეზე ასაყვანად. ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე ვდგავართ საავადმყოფოებში საწოლი ადგილების რაოდენობით: 1970 წელს ყოველ 10.000 მცხოვრებზე მოდიოდა 109 საწოლი ადგილი, 1973 წელს — 114, 1975 წელს — 120, ხოლო 1976 წელს — 126. მრავალპროფილიანი და სპეციალიზებული საავადმყოფოები არის, როგორც დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში, ისე სოფლებში. სტაციონარში ერთი ავადმყოფის მოვლა-მკურნალობაზე სახელმწიფო თვეში 240 მანეთს ხარჯავს. ყოველ 10.000 მცხოვრებზე 1970 წელს მოდიოდა 28 ექიმი, 1974 წელს — 31,7, ხოლო 1976 წელს — 38. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში 427 საავადმყოფო, 1.154 პოლიკლინიკა, 91 დისპანსერი, 168 სასწრაფო-სამედიცინო დახმარების და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური. მუშა-მოსამსახურეთა დიდ ნაწილს უფასოდ ან შეღავათიან ფასში ეძლევა სანატორიუმის, დასასვენებელი სახლის ან ტურისტული ბანაკის საგზური. ესეც ხომ მათი საოჯახო ბიუჯეტის ეკონომიის მნიშვნელოვანი წყაროა!

სულ უფრო ფართო მასშტაბს იღებს უსაფრთხოების წესებისა და საწარმოო სანიტარიის სრულყოფა, პროფილაქტიკური ღონისძიებები, გარემოს გაჯანსაღება. მასობრივად არის დანერგილი ფიზკულტურა და სპორტი. ძლიერდება მოზარდ თაობაზე ზრუნვა. აკრძალულია ბავშვთა მძიმე შრომა, ფართოვდება მეცნიერული მუშაობა დაავადებათა შესამცირებლად და ადამიანთა ხანგრძლივი, აქტიური სიცოცხლის მისაღწევად. უფასო სამედიცინო მომსახურება ჩვენი უაღრესად დიდი სოციალური სიკეთეა და მისი შედეგია მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცება. სსრ კავშირში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 70 წელიწადს აღემატება. ეს ერთიორად მეტია რევოლუციამდელ დონესთან შედარებით. ზრდა უაღრესად თვალსაჩინოა და დიდად აჭარბებს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მაჩვენებლებს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე უკეთეს მდგომარეობად ითვლება ყოველ 10.000 მცხოვრებზე 20 ექიმის ყოლა. ადამიანებს უფასო სამედიცინო დახმარებაზე ოცნებაც არ შეუძლიათ, მკურნალობა ყველგან ფასიანია. მაგალითად, ბრმა ნაწლავის ოპერაცია 1.200-1.300 დოლარი ღირს, კუჭის ოპერაცია — 3.000-3.500 დოლარი. იაპონიაში ბრმა ნაწლავის ამოჭრა 150.000 იენი ჯდება, მშობიარობა — 150.000, ფილტვების ანთების დიაგნოზით საავადმყოფოში ერთი კვირა წოლა და მკურნალობა — 300.000 იენი და ა. შ. ორივე ამ ქვეყანაში სამედიცინო მომსახურება მხოლოდ შეძლებული ფენების პრივილეგიაა და მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ სიკეთით ვერ სარგებლობს, რადგან არა აქვს საამისო მატერიალური უზრუნველყოფა.

ანალოგიური სურათია სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებშიც, ხოლო შედარებით ჩამორჩენილ ქვეყნებში მდგომარეობა გაცილებით უფრო მძიმეა. მაგალითად, ლათინური ამერიკის ქვეყნებში (არგენტინა, ბრაზილია, ბოლივია, ურუგვაი) ნუშისებრი ჯირკვლის ამოკვეთა მუშას საშუალოდ თვენახევრის ხელფასი უჯდება, საავადმყოფოში ბავშვის 2 კვირით მოთავსება — ერთი თვის ხელფასი. აქ ბევრი ადამიანი ისე იზრდება და კვდება, რომ ექიმთან ვერ მკურნალობს, აფთიაქური წესით დამზადებულ წამალს ვერ იღებს. მისი სიცოცხლე უმეტესად ექიმბაშზეა დამოკიდებული.

ასეთია ჯანმრთელობის დაცვის საქმე ბურჟუაზიულ სამყაროში. მსგავსი მაჩვენებლების მოყვანა შეიძლება შრომის, დასვენების, ბინის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა დარგებიდან.

სსრ კავშირის კონსტიტუციის ახალი პროექტით გათვალისწინებული მოქალაქეთა უფლებები 1936 წლის კონსტიტუციაშიც იყო შეტანილი, მაგრამ იმ დროიდან განვლილ პერიოდში ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი არსებითი ცვლილებების შესაბამისად ეს უფლებები უფრო გაფართოდა. მაგა-

ვეხნობით კონსტიტუციის პროექტს

ლითად, წინა კონსტიტუცია ზოგადად წერდა განათლების უფლებაზე, ახლა კი კონკრეტულად არის აღნიშნული საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების, პროფტექნიკური, უმაღლესი განათლების ფართო განვითარება და დამკვიდრება. გაფართოვდა შრომის უფლების არსიც. ეს უფლება ახლა გულისხმობს საქმიანობისა და სამუშაოს სახეობის შერჩევას მოწოდების, უნარის, მომზადების, განათლების შესაბამისად.

ახალია საბჭოთა მოქალაქეების ბინის უფლება, მისი ხელშეუხებლობა. ბინაში ვერავინ შევა კანონიერი საფუძვლის უქონლად, იქ მცხოვრებთა სურვილის საწინააღმდეგოდ. ეს უფლება გარანტირებულია მთელი რიგი ღონისძიებებით: საბინაო ფონდის ზრდით, კოოპერაციული და ინდივიდუალური მშენებლობის გაძლიერებით, საცხოვრებელი ფართობის სამართლიანი განაწილებით და ბინის ქირის სულ უფრო შემცირებით. ამ მხრივ სსრ კავშირი პირველია მსოფლიოში: არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციაში არ არის შეტანილი ბინის უფლება. კაპიტალისტურ სამყაროში, ცხადია, არც რამე გარანტიაა დაწესებული.

უაღრესად დიდმნიშვნელოვანია სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში ჩვენი მოქალაქეების მონაწილეობის უფლება. სსრ კავშირის მოქალაქეები „ირჩევენ და შეიძლება არჩეულ იქნენ სახალხო დეპუტატთა საბჭოებში, მონაწილეობენ საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის კანონებისა და გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვასა და შემუშავებაში, სახელმწიფო ორგანოების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში, მათი საქმიანობის კონტროლში, წარმოებისა და მშრომელთა კოლექტივების საქმეთა მართვაში, საცხოვრებელ ადგილზე გამართულ კრებებში“, — ნათქვამია კონსტიტუციის პროექტის 48-ე მუხლში. ადამიანებს შეუძლიათ წინადადებები შეიტანონ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მათი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, გააკრიტიკონ და ამხილონ ნაკლოვანებები. ეს საბჭოთა მოქალაქეების დიდი დაფასებაა. ეს ნიშნავს მათი მოსაზრებების და ნება-სურვილის გათვალისწინების აუცილებლობას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნების საყოველთაობა. 18 წელს მიღწეულ ყველა მოქალაქეს აქვს უფლება აირჩიოს და თვითონაც იყოს არჩეული. ამჟამად მოქმედ კონსტიტუციაში კი ქვეყნის მმართველ ორგანოებში ასარჩევთა ასაკი იწყებოდა 23 წლიდან — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში და 21 წლიდან — მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლეს საბჭოებში. ცვლილება გამოწვეულია ჩვენს ქვეყანაში მოზარდი თაობის როლის ზრდით. 18 წლის ახალგაზრდა უკვე სრულყოფილი მოქალაქეა და შეუძლია ყოველგვარი საქმის გაკეთება, მაშასადამე, ხალხის მსახურის საპატიო მოვალეობის შესრულებაც.

როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, ისე ჩვენს რესპუბლიკაში წლითიწლობით იზრდება ახალგაზრდობის, კომკავშირის როლი სამეურნეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუ 40 წლის წინათ, 1936 წლის კონსტიტუციის მიღების დროს, საქართველოს კომკავშირში 107.000 წევრი იყო, ახლა მათი რიცხვი 6-ჯერ და მეტად გაიზარდა და 660.000-ს მიაღწია. კომკავშირული ფენა მოსახლეობის 2,9 პროცენტს არ აღემატებოდა, ახლა კი 13,2 პროცენტს აღწევს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ყოველი მე-5, მე-6 მომუშავე კომკავშირელია. ადგილობრივ საბჭოებში არჩეულთა მთელი რაოდენობის 19,8 პროცენტი ანუ 9.780 კაცი კომკავშირელია. 30 წლამდე ასაკისა არის 30,8 პროცენტი — 15.203 დეპუტატი, ბევრი ახალგაზრდა საქართველოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოების დეპუტატია. აი, რა არის საბჭოთა დემოკრატია პრაქტიკულად.

სსრ კავშირის მოქალაქეთა პოლიტიკურ თავისუფლებათაგან ახალი კონსტიტუციის პროექტში რელიეფურად არის ჩამოყალიბებული სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების გარანტია, საზოგადოებრივ ორგანიზაციებად გაერთიანების, ნებისმიერი რელიგიის აღიარების ან უარყოფის, პიროვნების ხელშეუხებლობის, დედაენისა და სსრ კავშირის სხვა ხალხთა ენების გამოყენების უფლებები. საამისოდ შექმნილია შესაფერისი მატერიალური პირობები. არ შეიძლება არავის დაპატიმრება სასამართლოს დადგენილებისა და პროკურორის სანქციის გარეშე. კანონი იცავს მოქალაქეთა პირად ცხოვრებას, მიმოწერის, ტელეფონით საუბრების, სატელეგრაფო შეტყობინების საიდუმლოებას. პიროვნების პატივისცემა, უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირთა მოვალეობაა.

ყველა ამ უფლების რეალიზაციისას უნდა გავითვალისწინოთ მშრომელთა ინტერესები და სოციალისტური წყობილების განმტკიცების მიზნები. არ შეიძლება ამა თუ იმ ადამიანის მისწრაფებები ეწინააღმდეგებოდეს უმრავლესობის აზრს, არ შეესაბამებოდეს მას. 39-ე მუხლის ბოლოს გარკვეულია, რომ მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება არ უნდა ვნებდეს საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებს, არ ლახავდეს სხვა მოქალაქეთა უფლებებს.

დიდია საბჭოთა ადამიანებისათვის ახალი კონსტიტუციის პროექტით მინიჭებული უფლებები, ღრმაა მათი შინაარსი და პოლიტიკური მიზანდასახულობა, მაგრამ ასევე დიდი და საპატიოა მათი მოვალეობები და ვალდებულებები. ყველა ჩვენგანი სრულყოფილად უნდა სარგებლობდეს მინიჭებული უფლებებით და კეთილსინდისიერად ასრულებდეს ყველა მოვალეობას. ამ ორი მხარის ერთიანობა და განუყრელობა ქმნის საბჭოთა ადამიანის მთლიან მორალურ სახეს, გამოკვეთილად წარმოადგენს მის ადგილს საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაში. ამ გზით დაცულია პიროვნების ინტერესები, მტკიცე საფუძველზე დგას მის მისწრაფებათა დაკმაყოფილება და ამავე დროს უზრუნველყოფილია სოციალისტური სახელმწიფოს მიზნებისა და პრინციპების განხორციელების პირობები, მდგომარეობის სულ უფრო გაუმჯობესების შესაძლებლობა.

ახალი კონსტიტუციის პროექტში უაღრესად ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ჩვენი ქვეყნის მოქალაქის მოვალეობები: იცავდეს სსრ კავშირის კონსტიტუციას, საბჭოთა კანონებს, პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, ღირსეულად ატარებდეს საბჭოთა მოქალაქის მაღალ წოდებას, კეთილსინდისიერად შრომობდეს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის არჩეულ დარგში, მტკიცედ იცავდეს შრომითსა და საწარმოო დისციპლინას, უფრთხილდებოდეს და განამტკიცებდეს სოციალისტურ საკუთრებას, ებრძოდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებას, მფლანგვე-

ლობას, მაღლა აყენებდეს საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს, ხელს უწყობდეს მისი ძლიერებისა და ავტორიტეტის განმტკიცებას, წმინდად იცავდეს სამშობლოს, იმსახუროს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში, განამტკიცებდეს საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოს ერთა და ეროვნებათა მეგობრობას, პატივს სცემდეს სხვა მოქალაქეთა ეროვნულ ღირსებას, სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, შეურიგებელი იყოს ანტისაზოგადოებრივი საქციელისადმი, ყოველნაირად უწყობდეს ხელს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, ზრუნავდეს შვილების აღზრდაზე, ამზადებდეს მათ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის, ზრდიდეს სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრებად, უფრთხილდებოდეს, იცავდეს ბუნებასა და მის სიმდიდრეს, ზრუნავდეს ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურულ ღირებულებათა შესანარჩუნებლად, იყოს ინტერნაციონალისტი, ხელს უწყობდეს სხვა ქვეყნების ხალხებთან მეგობრობის, თანამშრომლობის განვითარებას, საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

მოვალეობათა ამ ვრცელ ჩამოთვლაში შეტანილია სსრ კავშირის მოქალაქეთა საქმიანობის, თვისებათა და მისწრაფებათა დამახასიათებელი ყველა არსებითი მხარე, ნაჩვენებია მათი ინტერესების მრავალფეროვნება, სიფართოე და მასშტაბურობა. საბჭოთა ადამიანების შეგნებასა და ყოველდღიურ საქმიანობაში კარგა ხანია დამკვიდრებულია ისეთი აუცილებელი მოთხოვნები, როგორიც არის კეთილსინდისიერი შრომა, დისციპლინიანობა, სოციალისტური საკუთრებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სახელმწიფო ინტერესების პირადულზე მაღლა დაყენება, შეუნელებელი ზრუნვა სამშობლოს პოლიტიკურ-ეკონომიკური პოტენციალის გასაძლიერებლად, ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის განსამტკიცებლად, მთელს მსოფლიოში მშვიდობის შესანარჩუნებლად. ახალი კონსტიტუციის პროექტში ამ ასპექტების გამოკვეთილად შეტანა კიდევ უფრო აფართოებს და აღრმავებს, მეტ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ჟღერადობას ანიჭებს მათ, ხელს უწყობს ხალხის სულიერი სამყაროს შემდგომ გამდიდრებას.

სსრ კავშირში სოციალისტური სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალაქის ყოველმხრივ ზრდა-განვითარებას, მატერიალურ კეთილდღეობას, ჯანმრთელობას, სულიერ გაფურჩქვნას, ანიჭებს მას უმნიშვნელოვანეს უფლებებს, აკისრებს საპატიო მოვალეობებს, რომელთა შესრულება, როგორც მთელი ჩვენი ხალხის, ისე საზოგადოების შემდგომი განვითარების საფუძველია. აქედან, ცხადი ხდება თითოეული ადამიანის პასუხისმგებლობა ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე, თავისი მოქალაქეობრივი ვალის პირნათლად მოხდის საჭიროება და აუცილებლობა.

ახალი კონსტიტუციის პროექტი უაღრესად დემოკრატიულია, გამსჭვალულია საზოგადოების წევრთა ინტერესების საყოველთაო დაცვის სულისკვეთებით, წინა რიგზე სწევს ადამიანთა უფლებებს, თანასწორობას, თავისუფლებას და უზრუნველყოფს მათი განხორციელების პირობებს. ჩვენში არ არსებობს მოქალაქეთა არავითარი დისკრიმინაცია, რამე ნიშნის მიხედვით დაყოფა ან დანაწილება. კანონის წინაშე ყველა თანასწორია და თითოეულის ადგილს საზოგადოებაში განსაზღვრავს მისი პირადი ნიჭი, უნარი, შრომა და შრომის შედეგები. ჩვენი კონსტიტუციის პროექტი ამ მდგომარეობას კანონმდებლურად განამტკიცებს და მის საფუძვლებს კიდევ უფრო აძლიერებს.

უაღრესად დიდი, ფართო და მრავალფეროვანია საბჭოთა საზოგადოების მოქალაქეთა უფლებები, თავისუფლებები, მოვალეობები, მათი შინაარსი და მიზანდასახულობა. როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე უცხოეთის პროგრესული ადამიანები მათში ხედავენ ჭეშმარიტ სამართლიანობას, ჰუმანურობას, მზრუნველობას ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის განათლების, კულტურის, მატერიალური მდგომარეობის ასამაღლებლად, ყოველმხრივ ბედნიერი ცხოვრების შესაქმნელად. ეს იწვევს ჩვენი მეგობრების კანონიერ სიამაყეს სოციალიზმის პირველი ქვეყნის გამო და აღაფრთოვანებს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მშრომელებს თავიანთი უფლებების დაცვის, არსებითი სოციალური გარდაქმნებისათვის საბრძოლველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსენი

გურამ
ფარაზანაშვილი

მხატვარი
ედუარდ
ამგოკაძე

მოთხრობა

მძიმედ დატვირთული ორთვალა ფერდობზე დაგორდა. კაცის ყვირილი და ცხენის ჭიხვინი ერთდროულად გაისმა. ცხენმა უკანა ფეხებზე ჩაიჩოქა, — სცადა შეემაგრებინა ქვებზე მოხტუნავე ორთვალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: ცალი თვალი ორმოში ჩავარდა, ორთვალა მარცხნივ გადაყირავდა და ხელნებში გაბმული ცხენი მიწაზე დაახეთქა.

წისქვილთან თავშეყრილი ხალხი იქით გაიქცა...

ცხენმა თვალები დააბრიალა, ლაშებიდან დუუში არეული სისხლი გადმოუვიდა, თავი წამოსწია, წამოდგომა სცადა, მაგრამ თასვებსა და მოსართავებში მაგრად იყო გაბმული. ხელნაც მხარზე დაბჯენოდა და ადგომის საშუალებას არ აძლევდა.

ცალუღმა წაუჭირა ყელში. ცხენი ახროტინდა.

— ვუშველოთ, ხალხო, ცოდვაა ცხენი! — იყვირა ვიღაცამ.

რამდენიმე ახალგაზრდა ხელნებს ეცა, თასმები შეაჭრეს, განზე გაათრიეს ცხენი.

ორთვალას პატრონი თავში იცემდა ხელებს, გადმოყრილ ტომრებს დასტრიალებდა, მუჭით ხვეტდა მიწაზე დაბნეულ ხორბალს. გვიან გაახსენდა ცხენი.

გაახსენდა და ბრაზმაც დარია ხელი. მათრახი მოიმარჯვა, გამძვინვარებულმა მთელი ძალით გადაუჭირა.

— ადე, შე მგლის შესაჭმელო! — აღრიალდა.

ცხენმა უმწეოდ გაიქნია ფეხები.

— უყურეთ ერთი, როგორ გაიშხლართა ეს უპატრონო! — მათრახი კვლავ გადაუტყლაშუნა და ჭყივილით გარს შემოუარა, — დასვენებაც რომ მომინდომა!

მაღალ-მაღალმა ქოჩორა ახალგაზრდამ ველარ მოითმინა, მათრახზე ხელი უტაცა და პირქუშად შეუტია:

— საცემი თვითონა ხარ! შორიდან მოვლა დაგეზარა! ცხენისა რა ბრალია!

—ჩემი საქმისა მე ვიცი!—აღრენით მიუგო პატრონმა და ისევ მიეტანა ცხენს.

ცხენი აქეთ-იქით აწყვეტდა თავს, შესაბრალისად ჭიხვინებდა, ადგომა კი მაინც ვერ მოეხერხებინა.

— ადე, შე უჯიშო შენა! — კვლავ ჯიუტად ეტანებოდა კაცი. — ადე, თორემ აქვე გაგაცხებინებ სულს!

— მოიცა! — დაიძახა ვიღაცამ, — ერთი უყურეთ და... მგონი, მხარი უნდა ჰქონდეს მოტეხილი.

— მხარი კი არა... — პატრონს ჰაერში გაუშეშდა მოქნეული მათრახი, სახე გადაუფითრდა, ირგვლივ შემოუარა, დაკვირვებით შეათვალიერა.

მარცხენა მხარი არაბუნებრივად გამოსჩროდა ცხენს, ლამის იყო, კისრის დასაწყისთან ტყავი ამოეგლიჯა.

— საცოდავი! — შეებრალა თავსაფრიან ქალს. — ხედავთ, როგორ წვალობს? განა თვითონ კი არ უნდა ადგომა!...

—მივეხმაროთ! — წამოიძახა ისევ მაღალ-მაღალმა ახალგაზრდამ და პირველი თვითონ მიეჭრა. სხვებიც მიეშველნენ, ზოგმა კუდში ჩაავლო ხელი, ზოგმა კისერი წამოუწია, ვიღაცამ კეტიც მოარბენინა, მუცლის ქვეშ შეუყარა. „აბა, ჰეო“, — დასძახეს და, როგორც იქნა, წამოაყენეს.

ცხენი ფეხზე დადგა. მარცხენა წინა ფლოქვს მიწაზე ვერ აკარებდა. ერთიანად თრთოდა და კანკალებდა. ოფლმა დაუსველა მთელი სხეული, თვალებიდან ცრემლები ჩამოუგორდა.

— უყურეთ, უყურეთ, ტირის კიდეც! — შეეცოდა თავსაფრიან ქალს. ყველა ჩაჩუმდა, უხმოდ მიაჩერდნენ პირუტყვს.

— ადამიანივით ღრიალი არ შეუძლია და მა რა ქნას! — თქვა ულვაშა გლეხმა.

პატრონი მიუახლოვდა, გავაზე გადაჰკრა მათრახი.

ცხენმა მტკივანი ფეხი აიკანჭურა, სამი ფეხით გადახტა წინ.

— რაღას ურტყამ, ვერან!.. ვერა ხედავ, მხარი აქვს მოტეხილი!—უყვირა ულვაშამ, — მაგას ახლა ცემა უნდა?

— მხარი ამასა და ჯანდაბა!.. — კვლავ შეუტია ცხენს პატრონმა.—მაშ ამოდენა ტომრები როგორ წავიღო შინ?!

— როცა დაფქვავ, შემატყობინე და მე გადაგიტან უსასყიდლოდ ჩემი მანქანით, ოღონდ მაგას თავი დაანებე, თავისი საცოდაობაც ეყოფა! — უთხრა მაღალ-მაღალმა ახალგაზრდამ. — ვისაც გინდა ჰკითხო, ყველა მოგასწავლის ჩემს ბინას... აქვე ახლოს ვცხოვრობ. ხვალ დილითაც აქ ვიქნები. თუ დაფქვას მოასწრებ, ხელად გადაგირბენინებ.

პატრონი ცოტა დამშვიდდა. ორთვალასთან მივიდა, ტომრების გადმოწყობას შეუდგა.

— ვიღაცამ დამთარსა დღეს!—გაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზებით გადააფურთხა. — ეს ზარალიღა მინდოდა?

—შენა სტყუი და ახლა სხვას აბრალებ?—შეუწყრა ულვაშა.—მოდი, ტომარას ხელი ამიკარი, წისქვილამდე მიგატანინებ... ცხენს რას უზამ?

— აღარაფერში მარგია და ჯანდაბამდის გზა ჰქონია!

— წაიყვა შინ, მიხედე, ცოდვაა პირუტყვი!

— განა მე არა ვარ ცოდვა? — აყვირდა პატრონი, მერე გაავებით გადახედა ცხენს და ღვარძლიანად დაუმატა: — ჩემი ურგები გინდ მგელს შეუჭამია, გინდ ტურას!

— შენ ჩემო ძმაო, გატყობ კერპი კაცი ყოფილხარ!—მხრები აიჩეჩა ულვაშამ, ტომარა ზურგზე მოიგდო და წისქვილში გააქანა.

●

წისქვილის გვერდით, პატარა მოედანზე, იდგა ცხენი და გარინდებული ერთ წერტილს მისჩერებოდა. გასიებული ფეხი ოდნავ აეწია. მტკივან მხარზე ბუზები კბენდნენ. კუდის დაქნევის თავიც აღარ ჰქონდა, რომ მოეშორებინა აბეზარი მწერები. უპეებიდან დროდადრო ჩამოგორებული ცრემლი ძირს წკაპუნით ეცემოდა.

ტიროდა ცხენი...

საღამო ჩამოდგა. ადამიანები თავთავიანთ სახლებში გაიკრიფნენ. დაცარიელდა წისქვილის მიდამოები. აქა-იქ ელნათურები აინთო. მარტო დარჩა ცხენი...

გზის გადაღმა ჭიშკარი გაიღო, ვიღაც ბერიკაცი გამოვიდა. ცხენს დაადგა თვალი, ახლოს მივიდა, გარს შემოუარა, დაკვირვებით შეათვალიერა. ერთი-ორჯერ ხელიც გადაუსვა ზურგზე, მიეფერა.

ცხენი არ განძრეულა, ყურადღებაც არ მიუქცევია. მისთვის ახლა სულ ერთი იყო ყველაფერი. მარტოოდენ ურუოლვა დაუვლიდა ხოლმე ხელის ყოველ მიკარებაზე, ნესტოები ებერებოდა.

— გტკივა, შე საცოდავო, არა? — შეეხმიანა ბერიკაცი, —მა რა იქნება, ადამიანები ვაი-ვიშით ქვეყანას შესძრავდნენ, შენ კი ჩუმად დგახარ და ითმენ ტკივილს.

ცხენმა ნელა მოიღრიცა კისერი, სევდიანი თვალებით შეხედა უცხო ადამიანს და გაირინდა.

— ან კი ვინ გაიგებს, ბევრიც რომ იჭიხვინო! —ალერსიანად უთათუნებდა ხელს ბერიკაცი, — ახლა ვიღას სჭირდები!..

ცხენი მთელი ტანით ძაგძაგებდა...

— გცივა კიდეც? —ჩაეკითხა და თვითონვე უპასუხა: — მა რა იქნება, მხარი გაქვს მოტეხილი...ეგ კანკალიც მაგის ნიშანია... — ბერიკაცი სწრაფად წახუსხუსდა შინისაკენ. მალევე დაბრუნდა, თან ძველი პიჯაკი და ტომარა მოიყოლია. ცხენს მხარზე დააფარა, სახელოები ყელთან გაუნასკვა.

— აი, ახლა აღარა გიჭირს რა, თბილად იქნები. კაი ცხენი ჩანხარ, მე და ჩემმა ღმერთმა. ღვთის ანაბარა არ უნდა მიეტოვებინე პატრონს.

ბერიკაცმა ხელი მოუთათუნა შუბლზე, დაუყვავა.

— რას იზამ, ეტყობა, შენი ბედი ეგა ყოფილა... პატრონი კი ვერა გყოლია რიგიანი. შენ, ალბათ, თავს არა ზოგავდი მისთვის, მან კი, როცა გაგიჭირდა, მიგატოვა... აი და, და, და!... ქვის გული ჰქონია, ქვის გული!..

მოხუცმა ახლა ბალახი მოუტანა, წინ დაუყარა.

—აჰა, მიირთვი! თუ არ ჭამე, გაგიჭირდება. მე ხვალაც განახავ...

მეორე დილით იღლიაში ამოჩრილი ბალახის კონითა და წყლით სავსე ვედროთი მიადგა ცხენს.

ცხენი იქვე იდგა. სადაც საღამოს დატოვა. წინ ხელუხლებლად ეყარა ბალახი.

— არ გესიამოვნა განა? — თავი მწყრალად გააქნია ბერიკაცმა. — ასე არ ვარგა, ძმობილო.... ხომ გაგაფრთხილე, ჭამე-მეთქი. სხვანაირად ძალას ვერ მოიკრებ... ნახე, რა ქორფა ბალახი მოგიტანე...

კონა წინ დაუდო, ვედროც იქვე დაუდგა.

ცხენმა სცადა დახრილიყო, მაგრამ დასიებული მხარი ეტკინა და სწრაფადვე ასწია თავი.

— ოო, მივხვდი, მივხვდი! — დაფაცურდა ბერიკაცი, — მეც არ გამიკვირდა?! — ვედრო ხელში აიღო, პირთან მიუტანა, —დალიე, დალიე!

ცხენი ხარბად დაეწაფა...

— ბარემ ესეც მიირთვი, —ბალახის კონა ასწია ბერიკაცმა. ცხენმა პირი წაატანა ბალახს, მოზრდილი ბღუჯა გამოგლიჯა.

ბერიკაცი მცირე ხანს დაფიქრებული იდგა, მერე კვლავ ცხენს შეესიტყვა:

— ასე ხელით ხომ არ გაჭმევ სულ, სირცხვილია. — თვალი მოავლო გარშემო, რაღაცას დაუწყო ძებნა. ბოლოს, მახლობლად მდგარ ტელეგრაფის ბოძზე შეაჩერა მზერა, —აი, ამ ბოძზე ჩამოგიკიდებ კონას... რას იტყვი, ჰა?... მაგრამ არა, ძალიან გაწვალდები... მაშ რა მოვიფიქროთ? ჰო რა თქმა უნდა. ან აქამდე როგორ ვერ მოვისაზრე.

ბერიკაცი შინისაკენ გაემართა. უკან მობრუნებულს ცალ ხელში ფიცრის ძველი ყუთი ეჭირა, მეორეში — ჩაქუჩი. მივიდა ტელეგრაფის ბოძთან და ცხენის თავის სიმაღლეზე მიაჭედა ყუთი. მერე ბალახი აიღო და ყუთში ჩაყარა.

— აი, ახლა არა უშავს რა! — თქვა ბერიკაცმა, განზე გადგა და მოწონებით შეათვალიერა თავისი ნამუშევარი. — აბა, ახლოს მობრძანდი!

ცხენი ბალახს მიაჩერდა, ყურები წინ წამოსწია, ცალი ფეხი აიკაუჭა, ნაბიჯი გადადგა.

—ჰო, მიდი, მიდი! —ბერიკაცმა გავაზე დაჭკრა ხელი, უბიძგა კიდეც.

—მართალია, გტკივა, მაგრამ რას იზამ, ცხოვრება ეგრეა მოწყობილი, ყველაფერს უნდა გაუძლო. აი, მე უკვე მოვხუცდი... ათასი რამ მაწუხებს, მაგრამ არა ვჩივი.

ცხენი, როგორც იქნა, მიხანხალდა სახელდახელო ბაგასთან, ბალახი დაყნოსა, მერე პირიც მოავლო.

— აი ეგრე!—ესიამოვნა ბერიკაცს. — წყალსაც ყოველ დილა-საღამოს მოგიტან. ოღონდ შენ მაგრად იყავი და გაუძელი. აბა, ნახვამდის, არ მოიწყინო. ვენახში ვარ წასასვლელი, თორემ არ მიგატოვებდი. საღამოს კი ახალ კონას მოგართმევ.

წისქვილთან მანქანა გაჩერდა, მეწისქვილე გადმოვიდა. ცხენთან მოფუსფუსე ბერიკაცი რომ დაინახა, განცვიფრდა:

— რაო, გიგავ! პატრონმა ზურგი შეაქცია და შენ გამოუჩნდი მფარველ ანგელოზად?

— ჰო, რა ვიცი, კაცო... ვიფიქრე, ცოდოა-მეთქი... მაშ ეგრე ხომ არ მივატოვებდი, ღვთის ანაბარა, — გეპასუხა ბერიკაცი და თავის ეზოში შევიდა.

○

გადიოდა დღეები. ცხენი მოედანს არ სცილდებოდა. იდგა თავისთვის და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა წისქვილთან თავშეყრილ, ლაპარაკის საღერღელაშლილ ხალხს. უმეტესობას ხელი ჩაქნეული ჰქონდა, „მაგისი წირვა გამოსულიაო", — ამბობდნენ.

ორი კვირის თავზე ცხენს ფეხი ცოტა მოუშუშდა, თუმცა მხარი მაინც გამობერილი დაურჩა. ყუთში გამოულევლად ჰქონდა ბალახი. ზოგიერთი პურის ქერქსაც ჩაუგდებდა ხოლმე და ცხენსაც მეტი არა უნდოდა რა.

მოვლით კი ძველებურად ბერიკაცი უვლიდა. დილა-საღამო მასთან ტრიალებდა, ასმევდა, აჭმევდა,

ზღვიერის ანჯახი

სიამაყე — ღირსების გრძნობა, საკუთარი თავის პატივისცემა, კმაყოფილების გრძნობა, რომელიც გამოწვეულია მიღწეული წარმატებების შეგნებით, უპირატესობით.

იმ დღიდან, როდესაც მე და ჩემმა მეგობარმა ლუდმილამ ეს გაკვეთილი მივიღეთ, უკვე რამდენიმე წელიწადმა გაიარა, მაგრამ დღემდე მის ყოველ გახსენებაზე სირცხვილი მწვავს.

გიამბობთ თავიდან: ერთ-ერთი მორიგი შვებულებისას თბომავალ „მაკარენკოთი“ ვოლგაზე სამოგზაუროდ წავედით. ისე გვინდოდა ამ თვალწარმტაცი მოგზაურობის არც ერთი საყურადღებო მომენტი არ გამოგვრჩენოდა, რომ ღამის მორიგეობაც კი შემოვიღეთ. როდესაც ერთს გვეძინა, მეორე ფხიზლობდა. შუა რუსეთის ქალაქები და მთვარით განათებული სანაპიროები მუქი ცის ფონზე ზღაპრული იდუმალებით მოცულნი ჩანდნენ.

— ადექი! ჩქარა ადექი, — შეხედე, რა საოცრებაა! — ხშირად ვაცნობ მოდა ჩვენი შეძახილება ...

ამ მოგზაურობაში ყველაფერი საოცრად კარგი იყო, გარდა ერთისა.

თბომავლის სასადილო ერთ ჯერზე ყველა დამსვენებელს ვერ იტევდა და სამ წყებად ვიკვებებოდით. ჩვენ მესამე წყებაში მოვხვდით. მართალი გითხრათ, ძალიან გვიძნელდებოდა ლოდინი.

ერთხელ ჩვენს კაიუტაში თბომავლის დამლაგებელი ქალი პრასკოვია ივანოვნა შემოვიდა, ლოგინის თეთრეული გამოცვალა და ბოლოს ღიმილით გვკითხა:

— რაო, მოგშივდათ? აბა რა გეგონათ, ჰაერზე ადამიანს მგლის მადა უჩნდება.

კარი მაგრად მიხურა, ჩემკენ გადმოიხარა და ხმადაბლა მითხრა:

— ტყუილად ძუნწობთ. თუმანს თუ არ დაიშურებთ, ყველაფერი წესრიგში იქნება.

— როგორ თუმანს, სად?

— სად კი არა, ვის, შე სულელო. ყველაფერი უნდა გასწავლოთ კაცმა! ოფიციანტ ქალს მიეცით. ხელი ხელს ბანსო, ხომ გაგიგონიათ... თქვენ არც პირველი ხართ და არც უკანასკნელი იქნებით, — დაგვიგდო

წმენდდა, ეფერებოდა, თან დუდღუნით ათას რამეს უყვებოდა. ცხენიც მიეჩვია ჩია ბერიკაცს და მის ყოველ გამოჩენას ფრუტუნით ხვდებოდა.

—რად გინდა, გიგა პაპავ, ზედ რომ ხარ გადაყოლილი, სულ ერთია, ორთვალაში აღარ შეიბმება. —კვირობდნენ საფქვავზე მოსულნი. —ეგ რომ მოსარჩენი ყოფილიყო, პატრონი კი არ მიატოვებდა.

—ეეეჰ, შვილოსა, თქვენ სუ სარგებელი გელანდებათ, —ამოოხვრით იტყოდა ხოლმე ბერიკაცი, — იმას კი აღარ ფიქრობთ, რომ ესეც სულიერია, ღვთის გაჩენილია.

— ხომ ხედავ, საამქვეყნო პირი აღარა აქვს, მაგისი ტყავიც აღარ გამოდგება ახლა. დაარტყი თავში ცული და უბნის ძაღლები მადლობას გეტყვიან, —ურჩევდნენ ზოგიერთები.

— რათა, კაცო, რა დააშავა?.. სიკეთის მეტი არაფერი უქნია ადამიანებისათვის, — არ ეთანხმებოდა ბერიკაცი

ცხენიც თანდათან უფრო ეჩვეოდა ბერიკაცს, ერთადერთ მფარველად ისღა მიაჩნდა.

ცხენი, თუ მასთან ბერიკაცი არ იყო, ან თუ ბალახს არ ჭამდა, გარინდებული იდგა და ფიქრობდა. გეგონებოდა, საკუთარ მოგონებებშია ჩაფლულიო.

მოსაგონარი კი ბევრი არა ჰქონდა რა, გარდა იმისა, რომ მთელი თავისი დღენი ორთვალაში იყო შებმული და მისი ალმა-დალმა თრევით ქანცი ჰქონდა გაწყვეტილი. ბუნდოვნად თუღა ახსოვდა ის დრო, ჯერ კიდევ უდარდელი კვიცი დედას რომ დასდევდა კუნტრუშით. იქნებ დედის ალერსიანი ფრუტუნიც ახსენდებოდა. შესაძლოა ყოველივე ეს შორეული სიზმარივით ჩაჰყვა მის მახსოვრობას და სქელი ბურუსით დაფარული სულ სხვა სამყაროდ ეჩვენებოდა...

ერთი რამ კი არასოდეს ავიწყდებოდა: ორთვალაში პირველად შებმა, ფერდებზე მათრახის ტყლაშუნი და უდიერი შეძახილი...

ყოველივე ეს, ალბათ, ერთ ვეებერთელა დაუსრულებელ დღედ წარმოედგინა იმ დრომდე, ვიდრე იმ წყეულ ფერდობზე ორთვალა არ გადაყირავდა და თვითონაც მიწაზე არ დაენარცხა...

მერე კი საშინელი ტკივილი მხარში, მათრახის მწარე შხუილი და ეს ალერსიანი, ჩია ბერიკაცი...

მოსაგონარი ბევრი არა ჰქონდა რა, მაგრამ მაინც იდგა ფიქრებში ჩაძირული და გარინდებული სადღაც შორეთში გაიყურებოდა.

●

კიდევ ორი კვირა რომ გავიდა, თავად პატრონიც გამოჩნდა. გაოცებული დარჩა, ცხენი რომ ცოცხალი დაუხვდა. ჯერ შორიდან შეხედა, მერე ახლოს მივიდა, დაკვირვებით შეათვალიერა, გავაზეც მოუნდომა ხელის გადასმა.

ცხენმა ყურები ცქვიტა, ნესტოები დაებერა, ყრუდ ჩაიფრუტუნა და ცალფეხაკანჭურებული წინ გადახტა.

— როგორა ხარ, ლურჯავ?..—წყნარად მიმართა პატრონმა. — არ მეგონა, ცოცხალს თუ განახავდი. მაგრამ გაგიძლია, შე ძველო! — გარს შემოუარა და კვლავ წინ დაუდგა ცხენს.

ცხენმა თავი მოარიდა, შებრუნდა და ზურგი შეაქცია.

პატრონმა ისევ დაუარა თავს, ხელი მოუსვა კისერზე, მაგრამ ცხენმა არ მიიღო ალერსი, ისევ შეაქცია ზურგი.

— უყურე ერთი ამ სამგლეს, ველარა მცნობს!—პატრონის ხმაში უკმაყოფილება გამოკრთა. — ეე, ვერანა! საით მიგაქვს ეგ კეტით გასახეთქი თავი?!

ცხენი ზურგშექცევით იდგა, მაგრამ ყურადღებით უთვალთვალებდა პატრონყოფილის ყოველ მოძრაობას. დროდადრო ზურგზე თრთოლვა გა-

სიტყვა პრასკოვია ივანოვნამ წასვლის წინ.

— არა, გაიგე, რა გვითხრა? — აღშფოთდა ლიუდმილა.

...კოსტრომაში თბომავალი დიდხანს იდგა. საათები შევამოწმეთ, რომ არ დაგვგვიანებოდა, პატარა კატერში ჩავსხედით და ძველრუსული ხუროთმოძღვრების ნაკრძალი-მუზეუმისაკენ გავეშურეთ.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო პატარა, მოჩუქურთმებულგუმბათიანმა ეკლესიამ, სათამაშოსავით რომ ჩანდა.

— ნეტავი შეიძლებოდეს შიგ შესვლა, — ვინატრე მე. მაგრამ შესვლა არ შეგვეძლო, დაგვაგვიანდა. სამუშაო დღე უკვე დამთავრებულიყო.

— გვითხარით, გეთაყვა, — მიმართა გამვლელ ქალს ლიუდმილამ, — არის აქ ვინმე უფროსი? შეიძლება მისი ნახვა?

— როგორ შეიძლება უფროსის გარეშე, — გაიცინა ქალმა. — ამ მუზეუმს თავისი მცველი ჰყავს. ოღონდ ისვენებს უკვე. თქვენ ალბათ ტურისტები ხართ? დაგაგვიანდათ ცოტა, — სინანულით გვითხრა, მაგრამ უცებ დასძინა: — აი, ისიც!

— გამარჯობათ, დინჯად მოგვესალმა მაღალ-მაღალი მოხუცი, — გინდათ დაათვალიეროთ?

პასუხისთვის არ დაუცდია, ისე გაეშურა ერთ-ერთი გვერდითი კიბისაკენ, რომელიც ეკლესიის შესასვლელისაკენ მიდიოდა.

— ეკლესია ულურსმნოდაა აგებული, ერთი ლითონის ჩანგალიც კი არ არის ნახმარი. ჩვენთან ჩრდილოეთიდან არის გადმოტანილი...

მოხუცს ხელში ვეება გასაღები ეჭირა. საკეტმა გაიჩხაკუნა, საგდულებმა გაიჭრიალა და ჩვენ ზღურბლზე გადავაბიჯეთ...

გუმბათოვანი გადახურვა ხალხურ მოტივებზე შექმნილი ჭედური ორნამენტებით არის მოჩუქურთმებული. საკურთხევლის კარი აუურულია. კედლების გასწვრივ მასიური მერხებია ჩამწკრივებული...

დრო გადის. ჩვენ შიშით დავცქერით საათს და მოხუცს ვემშვიდობებით. ლიუდმილამ დრო იხელთა და ჩუმად მანიშნა საფულეზე. მე მივხვდი. მოხუცმა ჩვენთვის გაკეთა, რაც მას არ ევალებოდა.

— ძალიან მადლობელი ვართ თქვენი, — ვუთხარით მოხუცს და მუჭში ჩადებული სამმანეთიანი გავუწოდე.

— არ არის საჭირო, — ... მომიჭრა მან და ჩემი ხელ... რა.

ერთხანს უხმოდ ვიდექით. ეს უხერხული დუმილი ისევ მოხუცმა დაარღვია: — ქალაქში იყავით? კოსტრომის თეატრი თუ ნახეთ?... აი სწორედ იმ თეატრში, რევოლუციამდე შვეიცრად ვმუშაობდი. ხელფასი არ მეძლეოდა, და იმ გასაკითხით ვცხოვრობდი, თეატრის მაყურებელი რომ ჩამჩრიდა ხოლმე ხელში... ახლა კი მტკიცე ხელფასი მაქვს, ჩემი შრომის გასამრჯელო, — ხაზგასმით გაიმეორა მან, — მე მთელი ამ საგანძურის მცველი ვარ და ვამაყობ იმით, რომ ეს დიდი საქმე მანდეს...

ეს იყო და ეს. მას შემდეგ ძალიან ხშირად ვიგონებდით, ისევ და ისევ ვუბრუნდებოდით ამ შეხვედრას. ერთხელ ერთ-ერთ ასეთ საუბარში სამედიცინო ინსტიტუტის ორმა სტუდენტმა გოგონამ მარინემ და ნატაშამაც მიიღეს მონაწილეობა.

ინსტიტუტში შესვლამდე ნატაშა სანიტრად მუშაობდა თურმე. „ნუთუ თავმოყვარეობა არა გაქვს, — ეუბნებოდნენ ამხანაგები, — საშუალო განათლების მქონე სხვის ღამის ქოთნებს დაათრევ“. ნატაშას, ცხადია, ძალიან შეურაცხყოფდა ეს სიტყვები, საავადმყოფოდან წასვლაც კი უნდოდა. ერთხელ, თურმე, მათთან მოიყვანეს ავადმყოფი, რომელიც ხშირად კარგავდა გრძნობას, ბოდავდა, შფოთავდა. — რამდენიმე დღის ჭეშდეგ, დილით — გვიამბობდა ნატაშა, — როდესაც ხელპირი დავბანე და ლოგინი გავუსწორე, მან გაიღიმა, პირველად მთელი ავადმყოფობის მანძილზე. და პირველად ეს ღიმილი დავინახე მე, სანიტარმა. მევე ვაცნობე ექიმს, რომ ავადმყოფმა, ეტყობა, მოიხედა... და რაღაცნაირმა გრძნობამ შემიპყრო, სიხარულიც იყო მასში და სიამაყეც...

— ერთი სიტყვით, ამპარტავნობამ შეგიპყრო, არა? — გაეცინა მარინას.

— შენც იტყვი, ამპარტავნობა აქ არაფერშუაშია, ეს რაღაც სულ სხვაა...

— ცხადია, სულ სხვა, — ჩაურთო ლიუდმილამ, — ეს საკუთარი თავ ს პატივისცემაა, შენი ძალის, შენი შრომის მნიშვნელობის შეგნება, აი ის გრძნობა, ნატაშა, რომელიც მხედველობაში გქონდა, როცა შენს სიამაყეზე ლაპარაკობდი, ხომ ასეა? შეხედა მან აწითლებულ გოგონას, — ალბათ არც საავადმყოფოდან წასულხარ?

დაუვლიდა, თვალებს დააბრიალებდა და, მტკივანი ფეხი რომ არა, სულაც შორს გაეცლებოდა.

პატრონი გაბრაზდა, მათრახი მოიმარჯვა და გამეტებით გადაჰკრა გავაზე. ცხენმა მჭახედ დაიჭიხვინა, ტლინკები ჰყარა.

— მე შენ გიჩვენებ სეირს, მგლის კერძო! — დასჭყივლა კაცმა. განზე გადგა და ქვას დაავლო ხელი. — მე შენ გიჩვენებ!..

ცხენს აინუნშიაც არ ჩაუგდია კაცის გაშმაგება, ზედაც არ მიუხედავს.

წისქვილთან ცნობისმოყვარენი შეგროვილიყვნენ. ჯერ მდუმარედ ადევნებდნენ თვალს ყოველივეს, მერე უკმაყოფილოდ აყაყანდნენ:

— გაუშვი, კაცო, რას გიშავებს?

— დაანებე თავი!..

— ხომ ხედავ, აღარ უნდიხარ!

— ეგეც სულიერია!

— როცა უჭირდა, მაშინ მიატოვე და ახლა ეპატრონები?

— რა გონიერი ცხოველია, კაცო!

პატრონმა რაღაც ჩაიბუზღუნა, გაჯავრებით გადააფურთხა, მძიმედ გაშორდა ცხენს. მიდიოდა ნელა, მხრებში მოხრილი, დათრგუნვილი. ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა, რამ გამოცვალა მის ხელში გამოზრდილი ეს მორჩილი ცხოველი. მას არ ესმოდა ცხენისა და არც სურდა გაეგო. მასში მხოლოდ მუშა პირუტყვს ხედავდა, რომელსაც მარტო ის უნდა გაეკეთებინა, რასაც უბრძანებდა. ვერაფრით მიმხვდარიყო, აქამდე თვინიერი და დამჯერე, რამ გადარია აგრე...

გუნებამოშხამული ძლივს მიათრევდა დამძიმებულ ფეხებს. სანამ თვალს მიეფარებოდა, ერთხელაც მოიღრიცა კისერი და ცხენს გამოხედა დაბოღმილმა...

ცხენი კი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა წისქვილთან მოყაყანე ხალხს, არც მიმავალ პატრონს, ქვემოთ, ვენახებიდან მომავალი გზისკენ იყურებოდა და ნელა ტორავდა მიწას.

მან უკვე შენიშნა ბერიკაცი და მოუთმენლად მოელოდა მასთან შეხვედრას. ამჟამად ამ ჩია ბერიკაცის გარდა ქვეყნად არავინ არსებობდა მისთვის.

ყურებდაცქვეტილ ცხენს კისერი გაეწვდინა და მოლოდინადქცეული ხმადაბალი ფრუტუნით გამოხატავდა თავის სიხარულს.

— პირიქით, კიდევ უფრო მეტი მონდომებით განვაგრძე მუშაობა.

— სიამაყე სრულიადაც არ არის საძრახისი, როდესაც საამაყო გაქვს რამე, — ჩავერთე საუბარში მე, — ოღონდ უნდა შეგეძლოს, შენს თავს უცხოს თვალით შეხედო. საკუთარი ღირსების ცოდნა ადამიანს თავის ძალებში რწმენას უმტკიცებს, ხოლო საკუთარი ნაკლის ცოდნა მათი დაძლევის ძალას აძლევს. ისინი კი, ვისაც ეს არ ძალუძს, თავს ვერ აღწევენ ყოყოჩობას და ამპარტავნობას. ერთ-ერთ სკოლაში, მაგალითად, მოსწავლეებს ასეთი შეკითხვა მისცეს: „რას ფიქრობ საკუთარ თავზე?, შენი ხასიათის რა თვისება არ მოგწონს და გინდა თუ არა მისი დაძლევა?“.

პასუხს წერილობით იძლეოდნენ. „საკუთარი თავით კმაყოფილი ვარ, — წერდა ერთი გოგონა, — მე ამაყი ვარ.“ კოლექტივში მას მართლაც განკერძოებულად უჭირავს თავი, კომკავშირული დავალებებისადმი გულგრილია, მშობლებისადმი — უყურადღებო, უმცროს დებთან — უხეში. რით შეიძლება იამაყოს ასეთმა პიროვნებამ?

— სამაგიეროდ, ნამდვილი სიამაყე, — განაგრძო ლიუდმილამ, — გეხმარება უბედურების გადატანაში. ამას წინათ მე საშუალება მომეცა წამეკითხა ერთი ფრონტელი ჭაბუკის წერილი სატრფოსადმი. „მშვიდობით, ძვირფასო ლიდუშკა, — წერდა იგი, — ეს ჩემი უკანასკნელი წერილია, არ იტირო, სჯობს ხშირად მომიგონო და იამაყო იმით, რომ ის, ვინც შენ გიყვარდა, დაიღუპა სამშობლოსათვის პატიოსან ბრძოლაში, ადამიანების ბედნიერებისათვის...“ ხომ გახსოვთ, როგორ მიმართავდა სახალხო პოეტი ჯამბული ლენინგრადის დამცველებს: „ლენინგრადელებო, შვილნო ჩემნო, სიამაყეე ჩემო!“ — აი ასე მოდის და გვეუფლება სიამაყის გრძნობა ხალხის, მისი საქმეებისა და სამშობლოს სიყვარულით შთაგონებულთ.

განა გვაქვს ჩვენ, ყველას, ვინც ამ გრძნობას ვიზიარებთ, იმის უფლება, ჩავიდინოთ საქციელი, რომელიც შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებას? როგორ შეიძლება აქ ერთხელ კიდევ არ მოვიგონოთ ის კეთილშობილი მოხუცი და არ ვუთხრათ მას: — გმადლობთ შენ, კარგო ადამიანო, შენი გაკვეთილისთვის, შენი სიამაყისთვის.

ა. გუტკევიჩი.

ჩვენთან სტუმრად არის ესტონეთის სსრ საბავშვო ჟურნალი „პიონერი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელიო მიანდი

მხატვარი
ასტა ვენდერი

მოთხრობა

მაიმუსონს, მათს უსაყვარლეს, დაწყებითი კლასების მასწავლებელს მაიმუსონს სამოცი წელი შეუსრულდა. მაიმუსონის შემდეგ არასდროს აღარ ჰყოლიათ სხვა ასეთი შესანიშნავი მასწავლებელი. არავის აღარ დაუწერია მათთვის ამდენი ხუთიანი და აღარავის უქია ისინი ასე გაუთავებლად. თუმცა იქნებ თვითონაც უფრო მუყაითები იყვნენ მაშინ. ვინ იცის. ასეა თუ ისე, მაიმუსონს მუდამ განსაკუთრებით გულთბილად იგონებდნენ. ის ნამდვილად ბებიის მაგიერი იყო ბავშვებისათვის.

მაიმუსონი მათი ცხოვრების პირველი მასწავლებელიც გახდა. თეატრში დაჰყავდა ისინი და წარმოდგენის დროს კალთაში ისვამდა ილმის, რადგან ილმი ისეთი ნამცეცა იყო, როგორც ქინძისთავი. კიდევ სად არ დაჰყავდა ბავშვები მაიმუსონს — გამოფენებზე, ფაბრიკებში, მუზეუმებში. ერთხელ მოცეკვავე თოჯინები აჩვენა მუსიკალურ კოლოფში და ბავშვებს ეგონათ ზღაპრულ ქვეყანაში მოვხვდითო. მაიმუსონმა მინის ფაბრიკაში წაიყვანა ისინი და ბავშვები გაოცებისაგან თვალებდაჭყეტილნი შეჰყურებდნენ, როგორ ისხმებოდა ფორმებში გამდნარი მასა. ადვილი არ იყო მათი პატრონობა. ცნობისმოყვარე თითები ყველაფრისაკენ იწევდნენ, ყველაფერს ეხებოდნენ. ეს განსაკუთრებით ოინბაზა პოკუსზე ითქმოდა. არც სულევი აკლებდა ხელს — რაღაც სადგარზე აფოფხდა, სადგარი ჩამოიქცა, და დარაჯმა ქალმა ერთი აპბავი ატეხა: ეს რა სკოლაა, ეს ბავშვები რა ამბავში არიანო. მაიმუსონს გამუდმებით თვალი უნდა სჭეროდა მათზე — კრუხსა ჰგავდა, რომელიც წამითაც არ იცილებს თავის წიწილებს. მაგრამ წიწილებმა კრუხის ფრთებქვეშაც კი მოახერხეს წუნდებული მინის გროვისათვის მიეგნოთ და იმ მინის ნამსხვრევებს ისე დააცხრნენ, როგორც ნაკელს, სადაც

საბჭოთა კავშირი ჩემი საბოგლოა

შეიძლებოდა ჭიაყელა ამოეჩიჩქნათ. მაიმუსონი მაშინვე იქ გაჩნდა. „ნუ დახარბდებით, ნუ“, — ცდილობდა შეეჩერებინა ბავშვები, მაგრამ ფეხმომტვრეულ ჭიქებს ისეთი საუცხოო მწვანე ფერი დაჰკრავდათ, ისეთი საოცნებო გამჭვირვალება ჰჭონდათ, გეგონებოდათ, შუშის ზღაპრის პაწაწინა ბროლის ზანზალაკებიაო.

მხოლოდ მაშინ დაშოშმინდნენ ბავშვები, როცა ილმიმ ხელი გაიჭრა; ამ ფათერაკიან ილმის ხომ შეუძლებელი იყო რაღაც არ დამართნოდა. მაიმუსონმა თითი ცხვირსახოცით შეუხვია და უთხრა: სიხარბემ დაგმართა, რაც დაგემართა, ახია შენზეო. ერთხელ ბავშვები მაიმუსონთან ერთად საპარფიუმერიო ფაბრიკა „ფლორას“ ერთ-ერთ საამქროშიც იყვნენ. ბიჭებმა წინასწარ დათქვეს, იქიდან თან წამოეღოთ ფერად-ფერადი ტუბები; ოინბაზა პოკუსმა წააგულიანა — რომ იცოდეთ, რა საწუწარები გამოვა! მერე ნახეთ გოგოების წივილ-კივილიო! გოგონები თავის მხრივ პატარა ფიგურულ შუშის ფლაკონებს დახარბდნენ. მაგრამ მაიმუსონი მაშინვე იქ გაჩნდა და დარიგება დაუწყო ბავშვებს, სიხარბე არ ვარგა, შვილებო, არაო!

მერეც, უფრო გვიან, როცა მაიმუსონი მათი მასწავლებელი აღარ იყო, თუკი ბავშვებს ,რაიმე სახარბიელოზე მიუწვდებოდათ ხელი, უსათუოდ გაახსენდებოდათ მაიმუსონის საყვარელი სიტყვები — „ნუ დახარბდებით!“ ეს ერთგვარ პაროლად თუ ანდაზად ექცათ, რომელსაც ყოველდღიურ ურთიერთობაში იყენებდნენ. ოდნავ ნაკლებად რომ ყვარებოდათ მაიმუსონი, ზედმეტ სახელად შერჩებოდა ეს „ნუ დახარბდებით!“, მაგრამ მაიმუსონი ხომ ბებიის მაგიერი იყო მათთვის.

და, აჰა, მათს უსაყვარლეს მასწავლებელს სამოცი შეუსრულდა. უკვე რამდენიმე წელი იყო, სკოლაში აღარ მუშაობდა. მართალია, ზოგჯერ კი გამოჩნდებოდა ხოლმე — ან პენსიონერებისათვის ნებადართულ ორ თვეს იმუშავებდა, ან ისე, ტყუილად შემოივლიდა. მაგრამ მუდმივად უკვე აღარ იყო სკოლაში, და დაბადების დღე რომ მიელოცათ, სახლში უნდა მისულიყვნენ მასთან. იმიტომ კი არ მიდიოდნენ, რომ ასეა წესი. იმიტომ, რომ ყველას მართლა გულით ეწადა მილოცვა, მეტადრე ციცქნა ილმის, რომელიც, ვინ იცის, რამდენჯერ დაშოშმინებულა მაიმუსონის კალთაში, ვისთვისაც, ვინ იცის, რამდენჯერ მოუწმენდია ცრემლები მაიმუსონს. ახლა ილმი, რა თქმა უნდა, უკვე დიდი გოგო იყო, მაგრამ კოტტა ტანისა და ბიჭურად მოკლედ შეკრეჭილი თმის წყალობით წინანდებურად ქინძისთავს წააგავდა. ამიტომ ოინბაზა პოკუსი ხშირად ისევ ქინძისთავას ეძახდა.

ყველა ერთად მაიმუსონთან, რასაკვირველია, ვერ წავიდოდა. სისულელე იქნებოდა ყველას წასვლა. ბებია მაიმუსონს ერთი ბეწო ბინა ჰქონდა და ყველა არც კი დაეტეოდა. ამიტომ ბავშვებმა გადაწყვიტეს, როგორც ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში იქცევა ხოლმე ხალხი, წარმომადგენლები აერჩიათ. იფიქრეს, სავსებით საკმარისი იქნებოდა ილმი და ოინბაზა გაეგზავნათ. ეს ორი მუდამ უფრო ახლოს იყო მაიმუსონთან, ვიდრე სხვები. გარდა ამისა, თვითონ ილმი ახლა სულ სხვანაირი იყო. წინანდელი უმწეობის ნიშანწყალიც კი აღარ ეტყობოდა, ის კი არა, შეეძლო თვით დაუდეგარი ოინბაზა პოკუსიც მოეთოკა. თუმცა, ვინ იცის, იქნებ სჯობდა, ოინბაზას მაგივრად ჯანიანი სულევი ამოერჩიათ—ისე მიიტანდა იმ ვეებერთელა ყვავილების კალათს, ვერც კი იგრძნობდა. მაგრამ ორი მიზეზით არ მოინდომეს ეს ბავშვებმა. ჯერ ერთი, დარწმუნებული არ იყვნენ, ბოლომდე მთელსა და უვნებელს მიიტანდა თუ არა სულევი საჩუქარს, და, მეორეც, დღესავით ნათელი იყო, რომ თვითონ ბებია მაიმუსონს გაკნაჭული, პირხმელი ოინბაზა პოკუსი ერჩივნა ჯმუხ სულევს. ბებიებს მუდამ თავისი სისუსტე აქვთ. გაუგებარ მიზეზთა გამო სწორედ ის ონავრები ინადირებენ იმათ გულს, ვინც ყველაზე მეტად აწვალებს მათ.

ასეც გადაწყდა — ბებია მაიმუსონთან ორი დელეგატი, ანუ წარმომადგენელი წავიდა — ქინძისთავა ილმი და ოინბაზა პოკუსი, ილმი წინ მიბაკუნობდა, ოინბაზა, ყვავილების კალათით ხელში — უკან მიჰყვებოდა. ილმი განზრახ დაწინაურდა, ფრთხილობდა ყოველი შემთხვევისათვის. რადგან მთლად დარწმუნებული არ იყო, ოინბაზა პოკუსის მისადმი განწყობაში. კი, მართალია, ოდესღაც თანაკლასელი გულგრილი არ იყო მის მიმართ, მაგრამ ეს ადამის დროინდე-

ლი ამბავი იყო, ჯერ კიდევ მაშინდელი, როცა ბიჭები თავიანთ აღტაცებას იმით გამოხატავდნენ, რომ კიკინებით ითრევდნეს გოგოებს, ახლა დროს მონახავდნენ და გუნდათოვლს კისერში უყრიდნენ. ოინბაზა, რა თქმა უნდა, უფრო საზრიან ოინებს იგონებდა. მაგალითად, ერთხელ მათემატიკის გაკვეთილზე მარყუჟი გააკეთა, ისეთი გადასარევი მარყუჟი, რომ მერე თვითონ ტრაბახობდა, ყველაზე გამოჩენილ ამერიკელ ქმანდის მსროლელს შეშურდებაო. მერე ეს მარყუჟი შეუმჩნევლად გამოსდო ილმის ფეხს, და როცა ილმი გაკვეთილის საპასუხოდ უნდა გასულიყო, მარყუჟი მოუჭირა და გოგომ მერხს იქით ფეხი ვერ გადადგა. ცხადია, მასწავლებელი მერხთან მივიდა, და, თოკი რომ დაინახა, ოინბაზას დაექადნა — აი ამავე თოკით სამასწავლებლოს კართან დაგაბამ და გაკვეთილების შემდეგ დაგტოვებო... ჰო, ეს ყველაფერი დიდი ხნის ამბავი იყო. ახლა კი ოინბაზა სხვაგვარად, თუმცა თავისი ასაკისათვის როგორღაც შეუფერებლად გამოხატავდა თავის სიმპათიას. ასე რომ, ილმის ვერაფრით ვერ გაერკვია, მაინც რა გრძნობით ეკიდებოდა ოინბაზა. ღმერთო ჩემო, განა ბიჭი, თუ ის სერიოზულად ფიქრობს შენზე, შენს მკერდზე დაბნეულ ნიშანს წაეპოტინება, თანაც ისე, რომ იძულებულს გაგხდის ხელებში ჩაარტყა? ან არა და, თუ წინდა გაგეხადა გასაძრობად გინდა კუთხეს მიეფარო, ადგება და თან გამოგყვება? ან სადმე შენს ფოტოსურათს იშოვნის, მერე კი მთელი დასვენება თავდაყირა აფრიალებს და საქვეყნოდ დაიწყებს შენი თვალების დათვალიერებას? ოინბაზასათვის ასეთი ოინები ჩვეული საქმე იყო და ილმისაც ამიტომ ეჭვი ეპარებოდა მის გრძნობათა სიღრმეში. ეჭვი ეპარებოდა, მაგრამ ამავე დროს გრძნობდა, თუ ოინბაზა სკოლაში არ იყო და ილმი მისი ყურადღების ცენტრში არ ტრიალებდა, თითქოს რაღაც აკლდა. ღმერთო, რანაირად იყო შეჩვეული მის ყურადღებას! მიუხედავად ამისა ილმი ცდილობდა ისე დაეჭირა თავი, თითქოს სულ არაფრად ენაღვლებოდა ის ოინბაზა პოკუსი. მათ შორის მუდამ დაძაბულობა იგრძნობოდა, როგორც ფარული კატა-თაგვობანა და ეს თამაში ახალისებდა სკოლაში გატარებულ დღეებს. ოინბაზას რომ ამ მანჭვა-გრეხისათვის თავი დაენებებინა და უბრალოდ მოჰქცეოდა ილმის, ვინ იცის, იქნებ გოგოს აღარც კი შეშინებოდა მისი ეშმაკური განზრახვებისა. ახლა კი ძალიან ეშინოდა. ეგონა, ოინბაზას ჩემი გამასხარავება უნდაო და ამიტომ ამჯობინა თვითონ ჩაეყენებინა იგი უხერხულ მდგომარეობაში. მხოლოდ და მხოლოდ ამიტომ იყო, გუშინ ხაზვის გაკვეთილზე უკან რომ დაუბრუნა ჭიკარტების კოლოფი, რომელიც ბიჭმა ნახაზის მისამაგრებლად მიაწოდა. სულევმა ხმამაღლა ჩაიბურტყუნა: „მოაშორე შენი კოლოფი, ხომ ხედავ, რა თქვა—შენი ჭიკარტები არა მჭირდებაო!“ ამაზე ბევრმა ჩუმად ჩაიხითხითა. ასე რომ, გუშინდელმა დღემ ილმის რამდენიმე აუწერელად სასიამოვნო წუთი არგუნა, რის წყალობითაც მთელი გაკვეთილი კარგ გუნებაზე იყო. ეს სასიამოვნო გრძნობა მერეც რამდენჯერმე მოეფინა გულზე ხაზვის გაკვეთილის გახსენებაზე. და მაინც ილმი ყოველთვის ვერ ახერხებდა ოინბაზასათვის თავისი უპირატესობა ეგრძნობინებინა. ახლა კი ამის დრო დადგა. და ამიტომ ილმი თავმომწონედ მიბაკუნობდა წინ, თუმცა ოინბაზაც და ისიც, ორივენი სრულუფლებიანი წარმომადგენლები იყვნენ.

ილმის მოსწონდა ასე ბაკაბუკი. ქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა და სიამოვნებით მიაბაკუნებდა. ისიც მოსწონდა, რომ ახალი კაბა ეცვა. მზე რომ ანათებდა — ისიც, და ისიც, რომ მაინცდამაინც ის აირჩიეს დელეგატად — ერთი სიტყვით, ყველაფერი სიამოვნებდა. მართალია, აჯობებდა, ოინბაზას ცოტა უფრო დარბაისლური შესახედაობა ჰქონოდა, ცოტათი სულევს ჰგვანებოდა. მაშინ ილმის სინაზეც უფრო თვალში საცემი იქნებოდა და ქუსლების ბაკუნიც — უფრო რიტმული. საკვირველია, ილმი გრძნობდა, რომ სულევის გვერდით მისი ნაბიჯი უფრო მსუბუქი ხდებოდა. სულევი კი ვერაფერსაც ვერ ამჩნევდა. სულევს საერთოდ არაფრად ეპიტნავებოდა გოგოები, ერთადერთი, რაც აინტერესებდა — ვარჯიში იყო. იქნებ სწორედ ამიტომ იმსახურებდა გოგოების ყურადღებას. ანდა იქნებ გოგონები ისე, თავიანთი წარმოდგენით მიაწერდნენ ათას ისეთ თვისებას, რომლის მსგავსიც მას არაფერი გააჩნდა.

ერთი სიტყვით, ილმი მიდიოდა და მიაბაკუნებდა. სასიამოვნო იყო ეს ბაკაბუკი, როცა ფეხდაფეხ ვიღაც მიჰყვებოდა, და როცა ეს ვიღაც მარჯვე და საზრიანი ოინბაზა იყო. მაგრამ ხომ შეიძლებოდა ილმის წარმოედგინა, თითქოს ოინბაზა ვიღაც სრულიად უცხო მისტერ იქსია, რომელიც ცდილობს მისი ყურადღება დაიმსახუროს, და მხოლოდ ილმიზეა დამოკიდებული, უფრო ახლო მოუშვებს თუ არა ამ ფეხდაფეხ ადევნებულ ადამიანს? ღმერთო, ღმერთო! ვინმე რომ ეტყოდეს, შეიძლებოდა, არა უფრო ახლოს მოუშვას ეს ოინბაზა. არადა, როგორ გაიგოს, როდის რას ფიქრობს ეს ბიჭი სერიოზულად, და როდის ხუმრობს. მაგრამ ამის მიუხედავად ისეთი გულწრფელი ჩანს, ისე თავისუფლად გრძნობს თავს მასთან. მარტო იმიტომ ფრთხილობს ილმი, რომ ეშინია სხვების სამასხარაო არ გახდეს. ბავშვობაში, როცა ის ჯერ კიდევ ძალიან სუსტი იყო, იმდენჯერ აუგდიათ აბუჩად, რომ ახლა ეშინია. ეშინია და მაინც ძალიან სასიამოვნოა ახლა ასე რომ მიბაკუნობს — ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ. მიდის, მიაბაკუნებს და ფიქრობს, ფიქრობს იმაზე, რომ მთელი სიცოცხლე ასე უნდა იბაკუნოს, რომ მხოლოდ ახლა იწყება ყველაფერი, რომ ეს კიბის პირველი საფეხურია. საწყალი ბებია მაიმუსონი. ის უკვე ზედა საფეხურზეა, ცხოვრების გზა განვლო და რაღა დროს ბაკუნია, ისღა დარჩენია, მილოცვები მიიღოს — სხვა აღარაფერი. „ნურაფერს დახარბდებით!“ — ისევ გაახსენდა ილმის მისი შეგონება, თუმცა ახლა სულ არ გრძნობდა, რომ ხარბი იყო. აბა რა უნდა შეეხარბოს, როცა მთელი სიცოცხლე წინა აქვს, ნამდვილად წინ. იმიტომ, რომ ჯერ სულ ახალგაზრდაა.

როცა ბავშვების ორი წარმომადგენელი მაიმუსონებს მიადგა, ოთახი სავსე იყო ხალხით. „ღია კარის დღეო“, ასე თქვა მღელვარებისაგან სახეაწითლებულმა ბებია მაიმუსონმა. დღეს ის ისეთი ლამაზი იყო და ისეთი საზეიმო იერი ჰქონდა, რომ ილმის მის შეხედვაზე წამსვე გაუქრა თავისი ახალგაზრდობის შეგრძნება. თავისი მშვენიერი ვარცხნილობაც კი არაფრად ეჩვენა ბებია მაიმუსონის ჭაღარა თმასთან შედარებით. ამიტომ იყო, რომ ტვინში პატარა თაგუნასავით სწრაფად გაურბინა ფიქრმა და შემაშფოთებელი შეკითხვა დაუტოვა: შესძლებს როდისმე, როცა ისიც ზედა საფეხურზე იქნება, აი სწორედ ასეთი შესანიშნავი იქნეს, როგორიც ახლა ბებია მაიმუსონია?

ბავშვებმა საყვარელ მასწავლებელს ყვავილები და მილოცვა გადასცეს და მაშინვე წასვლა დაპირეს, რადგან ილმის აზრით ასე მოითხოვდა ზრდილობა და წესი და რიგი. მაგრამ ბებია მაიმუსონმა შორს დაიჭირა — მიიღო თუ არა მილოცვა, საყვარელი მოწაფეები ერთ ვიწრო სკამზე დასვა ერთად, რადგან მეორე თავისუფალი სკამი, არსად იყო. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ილმიმ ახლა კი ღმერთს მადლობა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სწირა, რომ სწორედ ო[illegible]
მის თანამგზავრად, რადგან ოინბაზას
თითქმის ცარიელ ადგილზე შეეძლო
ჯდომა და ილმის უზომოდ ბევრი ად-
გილი დაუტოვა. სულევი უსათუოდ
მთელ სკამს დაეპატრონებოდა, რად-
გან წესს და რიგს არას დაგიდევდა.
მაგრამ სწორედ აი ამ სიტლანქის გა-
მო ილმის თითქმის ისევე მოსწონდა
სულევი, როგორც ოინბაზა. ღმერთო,
ნეტა რატომ არის ასე მოწყობილი,
რომ შეიძლება ერთდროულად რამ-
დენიმე ბიჭი მოგწონდეს!

ბავშვებს ყველა თავს ევლებოდა,
ყავა მოართვეს და ტორტი შესთავა-
ზეს. „ჭამეთ, ბავშვებო“, — თქვა ბე-
ბია მაიმუსონმა და გაუგონარი ოინ-
ბაზა მაშინვე მორჩილად შეუდგა ამ
ბრძანების შესრულებას. იმდენად
მორჩილად, რომ ილმის გული მოუ-
ვიდა. თვითონ რომ ოინბაზასათვის
ეჩვენებინა, როგორ უნდა სუფ-
რასთან მოქცევა, იძულებული იყო
პატარ-პატარა ლუკმები ეკბიჩა. ოინ-
ბაზა კი ვითომ ვერც ამჩნევდა ილმის
მეტისმეტ ზრდილობიანობას. ის ბე-
ბია მაიმუსონის სტუმარი იყო, ბები-
ასთან კი იშვიათად თუ ვინმე უყუ-
რებს წესსა და რიგს, მეტადრე თუ
ათქვეფილ კრემიან ტორტს მიაწვდი-
ან. დამაცადე! — ფიქრობდა გაგუ-
ლისებული ილმი. ახლა უკვე ზუსტად
იცოდა, რას ფიქრობდა ოინბაზაზე.
ახლა სრულიად დარწმუნებული იყო,
ოინბაზა ისეთი ბიჭი არ არის, რომ
ღირდეს თავი იმტვრიო და გაარკვიო,
კარგად გეკიდება თუ ცუდადო. კაპი-
კია მაგის ფასი! ილმის ახლა მხო-
ლოდ კლასის ღირსების შელახვა
აფიქრებდა. კლასის წარმომადგენლე-
ბი იყვნენ, და ილმიმაც გადაწყვიტა
შური ეძია. პატარა გოგოსავით ხელი
აიწია და მასწავლებელს შესჩივლა:

— მასწავლებელო, ოინბაზა ცუ-
დად იქცევა. შეხედეთ, რა ხარბად
თქვლეფს ტორტს!

ოინბაზას ლუკმა ყელში გაეჩხირა,
მაგრამ წამის შემდეგ უწყინარი ღი-
მილი გამოსახა სახეზე — ასეთ ღი-
მილს ადრეც არაერთხელ უხსნია ის
გაჭირვებისაგან, — და თითქოს თავს
იმართლებსო, თქვა:

— მასწავლებელო, ეს ტორტი ისე-
თი გემრიელია, რომ სიამოვნებით
გეახლებოდით კიდევ ერთ ნაჭერს.

პასუხად ბებია მაიმუსონმა თავზე
ხელი გადაუსვა და სტუმრებს უთხრა,
ჩემი პატარა ონავარი ახლა დიდი
ოხუნჯი გამხდარაო. მერე მეორე ნა-
ჭერი ტორტი მიაწოდა — მიირთვი,
ჩემო კარგო ოინბაზაო! — და თან
დასძინა, არასდროს არ დამავიწყდე-
ბა, პირველ კლასში რომ იყვნენ ჩემი
ბავშვები. ქალთა დღეს ოინბაზამ

მე ასე ვფიქრობ

ნეიდი ადერ

მე მჯერა —
ყოველ კაცში ღვივის სიკეთე მუდამ,
ეგ არის მხოლოდ —
იმ სიკეთეს დანახვა უნდა.
სხვათა ცუდ მხარეს
არ მიაპყრო მარტოდენ მზერა,
სიკეთე სჭარბობს ყოველ კაცში
სიავეს — მჯერა!
ვით ოქრო ქვიშით,
ანდა, როგორც მარცვალი ხნულში,
სწორედ ისევე დაფარულა
სიკეთე გულში.
სული კაცისა
სასიკეთოდ ღვიოდეს უნდა,
მხოლოდ ირწმუნე
და იხილავ მის ნათელს მუდამ.

თარგმნა
ანზორ აბულაშვილმა.

მთელი კლასი ჩაამწკრივა ჩემს შესახვედრად და აღტაცებისაგან ანთებული თვალებით შესძახა: „საპატიო ყარაული მასწავლებლის პატივსაცემად, დაწყობილია!“ მეორე დღეს კი სკამზე პატარა რქებიანი ნიღაბი დამხვდა, რაზეც ოინბაზამ საიდუმლოდ მომახსენა: „ჩვენ უკვე გვყავს მასწავლებელიო“.

იგრძნობოდა, რომ ბებია მაიმუსონი ახლა სადღაც ძალიან შორს იყო. გარდასულის ბაღშიო, იფიქრა ილმიმ, და მოეჩვენა, რომ ბებია მაიმუსონი მოგონებათა შორის ისე მოძრაობდა, თითქოს ხეხილის ბაღში დადიოდა და მახსოვრობის ვაშლებსა ჭკრეფდა.

ოჰ, როგორ შეაშინა ერთხელ ოინბაზამ მაიმუსონი, მაიმუსონმა პატარა გოგოსავით შეჰყვირა, როცა ოინბაზამ გაკვეთილის დროს ფეხში ხელი სტაცა. ეს კი აი როგორ მოხდა. ეს საძაგელი ბიჭი მერხებქვეშ ჩაძვრა და ხან ვის სტაცებდა ფეხში ხელს, ხან ვის. ცხადია, უკანა მერხებიდან წინისაკენ გადმოინაცვლა, მერე უფრო წინ, და ვერც კი შეამჩნია, როდის დამთავრდა მერხები. ვერ შეამჩნია და თავისდა უნებურად მასწავლებელს სტაცა ფეხში ხელი.

ოინბაზა დანარჩენი სტუმრებივით სიამოვნებით უსმენდა მასწავლებელს, — ბევრი თავისი ცელქობა საერთოდ დავიწყებული ჰქონდა. ან რა დაამახსოვრებდა ყველაფერს! მაგრამ, ერთი უყურე, მაიმუსონს ყველაფერი არ დაევიწყებინა!

— შენ სულ ოინბაზაზე ლაპარაკობ, — საყვედურით მიმართა ბებია მაიმუსონს მისმა ქმარმა, ბაბუა მაიმუსონმა, — მეორე ნორჩი სტუმარიც ხომ გვყავს!

— ქინძისთავა! — იმწამსვე წარუდგინა ილმი სტუმრებს ოინბაზამ.

— ჩემზე არაფერია საამბობი! — შეეშინდა ილმის და წამოწითლდა. რა კარგი ბაბუაა და რა სისულელე წამოროშა! ნუთუ ვერ უნდა მიხვდეს, რომ ბებია მაიმუსონი განგებ ერიდება ილმიზე რაიმეს გახსენებას. ვის რაში ეპიტნავება ეს საცოდავი და ავად მოსაგონარი ამბები? უმორჩილესად გმადლობთ, არავისთვის არაფერი საჭიროა მათი ცოდნა. აბა რა მოსაყოლია, როგორ ჩაისველა ერთხელ ილმიმ, პირველ კლასში როცა იყო, და ბებია მაიმუსონი თვითონ წავიდა მასთან შინ მშრალი საცვლის მოსატანად. ეს სამარცხვინო ამბავი ახლაც ხშირად აგონდება ილმის. ან ის რა მოსაგონარია, რომ ილმი წამდაუწუმ რაღაცას კარგავდა, ანდა ის, რომ თითს ვერავინ დააკარებდა, — მაშინვე პირს დააღებდა და აღრიალდებოდა. არაფერი საინტერესო აქ არ არის. მაგრამ რაკი ილმი მთელი კლასის წარმომადგენელი იყო, არაფერი შემატყობინა, შეეცადა თავი შეეკავებინა. ისე რომ, მისი წამოწითლება შეიძლებოდა ჩვეულებრივ მოკრძალებად ჩაეთვალათ.

მოკრძალებაო! ოინბაზა სიცილით გასკდებოდა, რომ გაეგო რას ფიქრობდა ახლა ილმი, — გაუელვა გოგონას. ქინძისთავა-ილმი და მოკრძალებული! ღმერთო ჩემო! რაში ენაღვლება მაინც ის ოინბაზა, რა არის, რომ დღეს ამდენს ფიქრობს მასზე. ილმის გული მოსდიოდა საკუთარ თავზე, მაგრამ იმასაც კარგად ამჩნევდა, რა თავისუფლად, რა შინაურულად ეჭირა თავი ოინბაზას. სულ უბრალოდ ისმენდა თავისი ონავრობის ამბებს და სხვებთან ერთად იცინოდა. მაგრამ კაცმა რომ თქვას, ან რა იყო აქ სასაცილო. მასწავლებელს ფეხში ხელი სტაცოს ადამიანმა?! იმის მაგივრად, რომ სირცხვილით დამწვარიყო, ოინბაზა იჯდა და იკრიჭებოდა.

მგონი ბაბუა მაიმუსონი მიხვდა. ზედმეტი მომივიდაო. ამ ბავშვებთან სულ ფრთხილად უნდა იყო, ვერ მიხვდები როდის რა მოხვდებათ გულზე. გინდა სიკეთე გაუკეთო ადამიანს, ბნელი კუთხიდან დღის სინათლეზე გამოიყვანო, და ხასიათს კი გაუფუჭებ შენდა უნებურად. აბა რა იცოდა ბაბუა მაიმუსონმა, რომ ამ გოგონას ასეთი მგრძნობიარე გული ჰქონდა! და ბაბუამ გადაწყვიტა სწრაფად გამოესწორებინა თავის შეცდომა, ადგა და შოკოლადის ვეებერთელა კოლოფი მოიტანა. მოხუცის პატარა ეშმაკობამ გასჭრა. საუბარი ჩაცხრა და — ოჰო-ჰოი, საოცრებავ! — ამ კოლოფს შეაცქერდა. ეტყობა, ან იმპორტულია, ან რაღაც ახალი, გაიფიქრა ილმიმ, და თავისი უსიამოვნება გადაავიწყდა. ადრე ასეთი კოლოფი არსად ენახა და ახლა თვალით არჩევდა, რომელი კანფეტი აეღო. როცა მისი რიგი დადგებოდა. შოკოლადის კანფეტები მუდამ განსაკუთრებით უყვარდა ილმის და ახლა გადაწყვიტა ღია ფერისა, ზემოდან წვრილად დახაზული კუბი აეღო.

ბაბუა მაიმუსონმა მეორედ ჩამოატარა შოკოლადი. ახლა უკვე დარწმუნებული იყო, საუბრის თემა შეიცვლებოდა: ბებია მაიმუსონის გარდა აბა ვის შეიძლება აინტერესებდეს ვიღაც ილმის პატარაობა! ოინბაზამ მადლობა გადაუხადა, მაგრამ მეორე ცალი კანფეტი არ აიღო. აბა რა იქნება, ტორტით ამოიყორა! — გესლიანად გაიფიქრა ილმიმ, მაგრამ თვითონ კი, ზრდილობის ამ ცოცხალმა განსახიერებამ, ცდუნებას ვერ სძლია, — თან ისე დაჟინებით სთავაზობდნენ. ამჯერად მან მრგვალი, ზემოდან რაღაც მარცვლებით მოფრქვეული კანფეტი ამოარჩია და ცდილობდა გამოეცნო, რისი გემო დაჰკრავდა.

ოინბაზამ ხელი აიწია:

— მასწავლებელო! ქინძისთავა ხარბობს, უკვე მესამე კანფეტი აიღო.

— მესამე? — სახტად დარჩა ილმი, — მესამე კი არა, მეორე!

სტუმრებმა გაიცინეს, ბებია მაიმუსონმაც: მაინც რა საყვარლები არიან ეს ქინძისთავა და ეს ოინბაზა.

ილმი მიხვდა, რომ ამჯერად ოინბაზამ გააცურა, სამაგიერო გადაუხადა მაბეზღარობისათვის. მაშ არა და იმ შეურაცხყოფას შეარჩენდა?!

ილმიმ გაბუტვა დააპირა, მაგრამ ბოლო წუთს გონს მოეგო — ძალიან ულამაზო იქნებოდა დაბადების დღის ზეიმი ჩაეშხამებინა მასწავლებლისათვის, — და თვითონაც სხვებთან ერთად სიცილი დაიწყო. ღმერთო ჩემო, რატომ უნდა ეშინოდეს ასე გამუდმებით ადამიანს, სასაცილო არ გახდეს. ყოველნაირი სიცილი ხომ დაცინვა არ არის! ზოგჯერ სიცილი კი არ ამცირებს ადამიანს, პირიქით, უფრო ამაღლებს. არა, ახლა სწორედ ძალიან კარგად გამოუვიდათ ყველაფერი, ნამდვილი პირველკლასელებივით. თუმცა რა, როდის იყო, რომ ოინბაზას რამე ცუდად გამოსვლოდა. ის ხომ არასოდეს არ ცდილობს იმაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭკვიანად მოაჩვენოს თავი ვინმეს, ვიდრე სინამდვილეშია. მაშ ილმი რაღას იწელება? სულ ერთია, ბებია მაიმუსონმა მშვენივრად იცის, რა სიკეთეც ბრძანდებოდა პატარაობაში... ოინბაზამაც იცის — პირველი კლასიდან ერთად არ სწავლობენ?! და თავის სიცოცხლეში პირველად, ილმიმ იგრძნო, რომ წარსულისა აღარ ეშინოდა.

— მასწავლებელო! — თქვა მან, — გახსოვთ, როგორ მომეშველეთ, დედაჩემისათვის დაბადების დღეს საჩუქარი რომ მეყიდა?

— არა! — მიუგო გაოცებისაგან რეტდასხმულმა ბებია მაიმუსონმა, რადგან სულ სხვანაირი ილმი დაინახა.

— მე კი მახსოვს. ესტონური ენის გაკვეთილი გვქონდა. ხელი ავიწიე: „მასწავლებელო, მასწავლებელო!“ თქვენ მკითხეთ, რა გინდაო, და გიპასუხეთ, რომ იმ დღეს დედაჩემის დაბადების დღე იყო. მაშინ თქვენ თქვით: ძალიან სასიამოვნოაო. დამიბარეთ, სიკეთისა და ბედნიერების სურვილები გადამეცა მისთვის, და გაკვეთილი განაგრძეთ. მე კი ისევ ავიწიე ხელი. თქვენ ისევ მკითხეთ, რა გინდაო, მაშინ მე გკითხეთ: „მასწავლებელო, რა ვაჩუქო, დედას?“ „კი მაგრამ, მამაშენს არ მოეთათბირე?“ — გაგიკვირდათ თქვენ. მახსოვს ჩაწყვეტილი ხმით გიპასუხეთ, რომ არა, არ მოვთათბირებივარ-მეთქი. იმიტომ, რომ მამამ დილითვე მიართვა დედას საჩუქარი, მე კი ჩემით მინდოდა რამე მეჩუქნა. მაშინ თქვენ ფული მასესხეთ, გაკვეთილების შემდეგ მაღაზიაში წამომყევით და დედასათვის ლექსების წიგნი მაყიდვინეთ. მე გითხარით, დედას ქვეყანაზე ყველაზე მეტად ლექსების კითხვა უყვარს-თქო და იმიტომ. მერე გამოირკვა, რომ დედას უკვე ოთხი ასეთი წიგნი ჰქონდა სახლში — სხვებმაც იცოდნენ, რომ ლექსები უყვარდა, — და დაბადების დღისთვის ეს წიგნი აჩუქეს. მეორე დილით კი, მე, რა თქმა უნდა, დედას ფული გამოვართვი, რომ თქვენი ვალი გამესტუმრებინა.

— შეხედეთ, რა ხსომებია! — გაოცდა ბებია მაიმუსონი.

— კიდევ რამდენი რამე მახსოვს. — გაიღიმა ილმიმ, — მაგრამ ახლა წასვლის დროა. ოღონდ წასვლამდე ნება მომეცით კიდევ ერთი ნაჭერი ტორტი გთხოვოთ, იმიტომ, რომ ჩემსა და ოინბაზას შორის დღეის იქით ყველაფერში თანასწორობა უნდა იქნეს.

თარგმნა **ი. გეგეჭკორმა.**



რა ფერისაა ჩემი სახლი?

ოლივია საარი

ჩემი სახლი გახლავს
მშობლიური ფერის:
მწიფე ულოს ფერის
თუ ძახველის — წითლის,
არყის ხეთა თეთრად
მოშრიალე ტევრის,
ბალტიასთან მწვანედ
ტანაყრილი ისლის.

ჩემი სახლი გახლავს
მშობლიური ფერის:
პურის ყანის ფერის
მოოქრული ყანის,
კიდით კიდე თოვლით
დაფარული ველის,
ლურჯ სათიბში მდგარი
კესანესი წყნარის.

ჩემი სახლი გახლავს
მშობლიური ფერის,
ამ პატარა გულში
სიხარულს რომ ფანტავს:
მტრედისფერი, რუხი,
თაფლისფერი, ჭრელი,
ფერი —
ჩემი წრფელი
მეგობრების თვალთა.

თარგმნა ს. შამშრიანმა

კ. მარქსის სახ. ს.ქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ერთიანი ბიბლიოთეკა

ველოგრბოლა.

სირეი ლეინპერე,

ტალინის 46-ე საშუალო სკოლა, VII კლასი.

საკუთარი დამსახურებით

ერიკა კლასში შემოვიდა და განაცხადა, ამ დღეებში სამწყობრო დათვალიერება იქნებაო. განცხადებას ყველანი გულგრილად შევხვდით.

— დაუყოვნებლივ შევუდგეთ ვარჯიშს! ვინ არის დღეს თავისუფალი?

აღმოჩნდა, რომ ყველა დაკავებული იყო. მოესწრებაო — ვიფიქრეთ.

— შაბათს სამწყობრო დათვალიერებაა, — გვითხრა დამრიგებელმა გაკვეთილის ბოლოს. კლასი ჯერ გაირინდა, მერე კი ატყდა, მაგრამ რა ატყდა:

— რომ არ გვივარჯიშია! ისე შეჯიბრებაზე გასვლას რა აზრი აქვს!

— თეთრი ბლუზები ჩავიცვათ? — ამას გოგოები კითხულობენ.

— არა, თეთრები არა, ლურჯები ჩავიცვათ, — თქვა ერიკამ.

— გაკვეთილების შემდეგ ვარჯიში გვექნება. პიონერხელმძღვანელს სთხოვეთ და დაგეხმარებათ, — დაამთავრა კამათი დამრიგებელმა.

გაკვეთილების შემდეგ ყველანი, როგორც ერთი, შევიკრიბენით. პიონერხელმძღვანელი მოვიდა. დავიწყეთ.

— რგოლებად მოეწყვეთ! სწორდით! სმენა! — გაისმა ბრძანებები. — რგოლის ხელმძღვანელებო, პატაკისათვის მოემზადეთ!

ჩვენ პირველი ბრძანებისთანავე ავირიეთ, ერთი ალთას მიდიოდა, მეორე ბალთას. მარჯვენასა და მარცხენას ვეღარ ვარჩევდით.

— გოგოებო, ფეხებს ნუ ხრით, — გვასწავლიდა პიონერხელმძღვანელი. კარგა ხნის ოფლის წურვის შემდეგ ვარჯიში დავამთავრეთ. — არა უშავს, რაღაც მაინც გამოდის — გვითხრა პიონერხელმძღვანელმა.

დადგა შაბათი. ყველანი ვღელავდით.

— პიონერული ყელსახვევი ყველას გაქვთ? სამწყობრო დათვალიერება დაიწყება 14.30 წუთზე. ყველანი ადგილზე იყავით! — გაგვაფრთხილა რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ.

გაკვეთილების შემდეგ არ დავშლილვართ. დაიწყო შეჯიბრება. გაისმა ბრძანებები. სწრაფად მოვეწყვეთ...

... და აი, ყველაფერი დამთავრდა. სული მოვითქვით. მასწავლებელმა გვითხრა, ჩემი აზრით, კარგად გამოგივიდათო. მაგრამ რას იტყვიან მსაჯები? მოუთმენლად ველოდით მათ გადაწყვეტილებას.

ორშაბათ დილით ჩემთან ტინა მოვარდა:

— ჩვენ, ჩვენ გავიმარჯვეთ!

— მთელ რაზმეულში პირველ ადგილზე ჩვენ გამოვედით. — დაუდასტურა მაილამ.

— სტყუი! — არაფრით არ სჯეროდა ტომასს.

— არა გჯერა? გავიმარჯვეთ, ნამდვილად გავიმარჯვეთ! — მხიარულად იცინოდა იურა.

— ვაშა, ვაშაა! — შეაზანზარა საკლასო ოთახი ჩვენმა ყვირილმა.

— როდის გვაქვს შემდეგი შეკრება? — დაინტერესდა ყველა.

მულე ვახერი,
კიევილის 1-ლი საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოი, დედილო საყვარელო!

ესტონური ხალხური სიმღერა

ჰოი, დედილო უსაყვარლესო,
ჩემო გამზრდელო ალერსიანო,
გადაგიხდი კი ოდესმე ამაგს?
ჰოი, დედილო, რამდენი ღამე
თეთრად მითიე ყრმას შეჭირვებულს!
გავიწყდებოდა ძილიც, ჭამა-სმაც
და ჩემს აკვანთან, პატარა ქოხში
სულ სანთელივით ენთე, ძვირფასო!
სულ შეკაზმული გყავდა ქურანა—
ექიმბაშები მოგყავდა ჩემთან,
რომ შემშრობოდა თვალებზე
ცრემლი.
ხოლო მე, ჯიბრზე, უფრო ხმამაღლა
ვღრიალებდი და გულს გიხეთქავდი.
შენ ერთ ექიმბაშს ცხვარი მიართვი,
მეორეს — კრავი ლამაზთვალება,
ჩვენი კიკინა თხა კი მესამეს
მიჰგვარე, ჩემო კარგო დედილო!
გადავუხდი კი ოდესმე ამაგს
კალთას — რომელშიც მეძინა
ტკბილად,
ხელებს — რომლებზეც ვიწექ
ნებივრად,
უბეს — ყველაზე თბილსა და
მყუდროს,
ბაგეებს — ნანას რომ მიგალობდნენ?
ჰოი, დედილო ჩემო კეთილო,
გადაგიხდი კი ოდესმე ამაგს?

ყვავილები დედას.

ანგელა ზაუდერი,
ტალინის 34-ე 8-
წლიანი სკოლა,
VII კლასი.



ეინარ სიკი,
სადუიულასის
8-წლიანი სკოლა,
IV კლასი.

იალაღზე

სამუშაოს ბავშვისა

მაიამუ მინამიაგი

შენთვის სამშობლო
ჯერჯერობით,
სახლია, სადაც
ეთამაშები დღენიადაგ
ლეკვსა თუ კატას,
ის მინდორია,
ის ქუჩაა,
სად ფეხშიშველა
დარბიხარ,
ლაღობ
და გიღიმის გამვლელი ყველა.
შენთვის სამშობლო
მდინარეა ნაპირტყიანი,
ზამთრის დღე არი—
ლამაზ-ლამაზ ფიფქებიანი,
საციგაოა, —
შენ რომ ქროლვით
გულს ვერ იჯერებ,
საბავშვო ბაღი
და ძვირფასი სკოლაა მერე.
სამშობლო ყმაწვილს
ცივ ნიავსაც არ გაგაკარებს,
დედური გულით
თავს გევლება,
თავს დაგკანკალებს,
სულ გიფრთხილდება...
ჰოდა, ოდეს წამოიზრდები,
ყველაზე მეტად
შენც სამშობლოს გაუფრთხილდები.

ლექსები თარგმნა
ხ. შამფრიანმა

გოლოსი-ყორე

კალიუ
პიკმანი,

ლოსკასის
საშუალო
სკოლა,
IX კლასი

იმ დღეს დედა და მამა სულ ჩურჩულებდნენ, ხელად მივხვდი — ჩვენ შეგვეხებოდა ეს ლაპარაკი. მივხვდი და მართალიც გამოვდექი.

მამამ სარდაფიდან ძველი ბადე ამოიტანა, გაზომა და გადაჭრა. დედამ ძვლის მახათი გამოძებნა და ბადის ამოკვეთვას შეუდგა. ოთხივე შვილი სულგანაბული შევცქეროდით დედ-მამის ფაციფუცს. ისინი კი ხითხითებდნენ:

— ცოტა გვაცალეთ და მალე მიხვდებით ყველაფერს.

როცა მამამ სქელი ზონარის მორგვი გამოძებნა, დედამ კი ეს ზონარი ბადეს მიამაგრა, მაშინღა მივხვდით — გოდორყორე მზადდებოდა. მამამ გვითხრა, ეს თქვენთვის გამზადებული საჩუქარიაო. დაბადების დღის აღსანიშნავი საჩუქარი იყო. დაბადებით კი თითქმის ერთ დროს ვიყავით ოთხივენი დაბადებულნი. კიული და რანი მაისის დამდეგს. მე მაისის ბოლოს, ველი კი ივნისის პირველ რიცხვებში. შარშან, შუა მაისს კი პატარა ლაინე გაჩნდა. ასე რომ, მაისი თავიდან ბოლომდე დაბადების დღეა. თუმცა, პატარა დაიკოს საჩუქარი სულაც არ აინტერესებს, ჯერ ჭამაც ვერ უსწავლია თავისით. ეს გოდორყორე ჩვენი იყო.



კარგა ხანი გავიდა, ვიდრე გოდორყორე მზად იქნებოდა. დედ-მამას ცოტა ჩვენც შევაშველეთ ხელი.

და აჰა, დადგა სანატრელი დღე — გოდორყორის ჩასაშვებად ზღვაში უნდა გავსულიყავით.

მამა მოგვეშველა, მარტონი ამ საქმეს ვერ გავუმკლავდებოდით. ნავი კარგა მაგრა ქანაობდა. მე და ველი ვშიშობდით ტალღას არ გადაებრუნებინა, მაგრამ მშვიდობით გადავრჩით.

უჰ, რა გრძელი და შფოთიანი ღამე იყო! თვალი ვერ მოვხუჭეთ, ვტრიალებდით და ვბორგავდით. მერე როგორც იქნა გათენდა და მამამ ნება მოგვცა თევზის ამოსაღებად წავსულიყავით. ზღვისკენ მოვკურცხლეთ, მაგრამ სადაა თევზი! რა დაგიკარგავს — რას ეძებ! გოდორყორე ცარიელი იყო! გულზე შემოგვეყარა. კინაღამ ავღრიალდით. ვაი-მეთევზეები სოფლელმა ბიჭებმა მასხრად აგვიღეს. ის იყო გოდორყორეს წამოღება გადავწყვიტეთ, რომ ერთმა მეზობელსოფლელმა ნაცნობმა გვითხრა:

— ამ ჭაობში გინდათ თევზის დაჭერა? აქ ბაყაყების მეტს ვერაფერს იპოვით!

მაგრამ გოდორყორეში არც ბაყაყები რომ არ იყო! მერე მამამ დაგვაიმედა:

— მოითმინეთ!

იმას რა ეწაღვლებოდა!

იმ დილით ნიავმა მოუბერა, ტალღები აგორდა. ველიმ თქვა: წამო, გოდორყორეს დავხედოთო. არ წავყევი. მერე კიული დაიყოლია და ისინი წავიდნენ. მალე კიული გიჟივით შემოვარდა შინ.

— ბავშვებო, ორი თევზი... ველიმ თქვა...

ჩვენ აღარ დაველოდეთ იმის გაგებას, რა თქვა ველიმ, და ოავქუდმოგლეჯილები გავვარდით ნაპირისაკენ.

— მოიტანეთ? — გვეტაკა ველი.

— რა? — გავიოცეთ ჩვენ.

— ტომარა, ტომრისთვის გამოვგზავნე...

აი თურმე რის თქმა უნდოდა კიულის. ვაი, რაღა ვქნათ? ველიმ დამიყვირა: შარვალი გაიხადე და ტოტები გაუნასკვეო. იმაში ჩავყარეთ თევზები.

დედა და მამა ჭიშკარში შეგვეგებნენ, ქარიყლაპიები დედას მივეცით და უხა მოგვიმზადა. ენაზე გვადნებოდა თევზის თუნოულა ნაჭრები...

იფ, რა გემო ჰქონია შენს ნანადირევს!



* პირველ საეჭიმო პრაქტიკაზე.
ტუული საქსე. 13 წლის, ვირუს პიონერთა სახლი.

* მინდვრის სამუშაოები.
მატი კრიისა. ტოილასის 8-წლიანი სკოლა,
IV კლასი.

იური ნარიმანიძე

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

ამოვაგლეჯ ბოთოლა და ბალბა ბიჭი

მოთხრობა

გაგა ფანჯარასთან იწვა. ჭრელი საბანი თვალებამდე აეფარებინა და დაძაბული რაღაცაზე ფიქრობდა...

ოთახში მკრთალად ანათებდა მაგიდის სოკო-ნათურა. ფანჯრის ზემოთა პაწია სარკმელს თბილ ამინდში ყოველთვის ღიად ტოვებდნენ. სარკმლიდან ვარსკვლავებით მოჭიქული ცა მოჩანდა. გაგა ახლა სწორედ ცისკენ იცქირებოდა და ფიქრობდა: ვარსკვლავებზე, მთვარეზე, მზეზე და რაკეტებზე, იმ ვარსკვლავებსა და მთვარეს ირგვლივ რომ უვლიდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. გაგას ციური მნათობები ცოცხალ არსებებად ესახებოდა. განსაკუთრებით ძილის წინ ეუფლებოდა ხოლმე ასეთი ფიქრი. ხშირად ხმამაღლა წამოიძახებდა უფროსებისათვის ნახევრად გაუგებარ სიტყვებს, რომელთაც მერე ერთმანეთთან რითმავდა. რადგან პატარა იყო და ბევრი რამ არ იცოდა, სარკმლიდან მოციმციმე ვარსკვლავებს თავისეულ სახელებს არქმევდა: ციმა, ციმციმა, ბრჭყვია, ცრემლა, ჭუტა, ფახულა... მთვარეს არასოდეს თავისი სახელით არ იხსენიებდა, ხან ბადროდ ნათლავდა, ხან ფორთოხლად, ხან რად და ხან რად... „ციმა, ციმა, შე ციმციმა! ბრჭყვია, ბრჭყვია რა მოგსვლია! ცრემლა ცრემლა რა გაცრემლებს?! ჭუტა, ჭუტა, თვალს რად ჭუტავ? ფახულა, ფახულა, თავზე რა გახურავს?“.

— ვის ეჩურჩულები, ბიჭო?!—ეტყოდნენ დედა ან ბებია, — ლოგინში მაინც მოისვენეო. სინათლეს უქრობდნენ და საწოლი ოთახის ღია კარიდან უთვალთვალებდნენ, აბა, კიდევ ხომ არ აგრძელებს თავის სისულელეებსო...

იმ საღამოსაც იგივე განმეორდა; ჯერ ბებია გაუჯავრდა, გეყოფა ცელქობა, თვალი დახუჭე, ხვალ ადრე ხარ ასადგომიო, და ერთ ხანს გატრუნული იყო. მერე, როცა ისევ ლექსაობის სურვილმა წამოუარა და მის ისედაც უცნაურ გმირებს ახალი მეგობარი — მთვარისხივაც შეემატა, გაკაპასებული დედა წამოადგა თავს: რა მთვარისხივა, რის მთვარისხივა, აღარ აპირებ ძილს, შე საძაგელოო. გაგა მთლიანად ჩაძვრა საბანში. სუნთქვაც კი შეიკრა, თითქოს ქვეყნად იყო კიდეც და არც იყო. შეშინებული საბნის ქვეშაც აღარ ახელდა თვალებს. თვალებში კი ისევ ჭუტალა ვარსკვლავები და მთვარისხივა გოგონა ესხდნენ.

— რატომ ხარ ასე მოწყენილი?

— ეჰ, რა ვიცი! ოხრავდა მთვარისხივა.

— საიდან მოხველ, მთვარისხივავ?

— საიდან მოვიდოდი, მთვარიდან!

კუტკალიასავით ნამცეცა გახლდათ მთვარისხივა, გამხდარი, გალეული, პირისახე არც კი უჩანდა, მხოლოდ პაწია ვერცხლისფერ კიკინებს თუ გაარჩევდით, აქეთ-იქით რომ გაებზიკა.

გაგამ საბნიდან ფრთხილად გამოყო თავი. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა. უფროსებს დერეფანშიც ჩაექროთ შუქი. დედას სარკმელზე ფანჯრის სიფრიფანა ფარდა გადაეწია. ახლა ამ ფარდიდან ნაცრისფერი სინათლე ნისლივით ეფინა ყველაფერს — კედლებს, სარკიან მაგიდას, კარადას, სკამებს...

მთვარისხივა ფარდის მაქმანებში გამომძვრალიყო და ფანჯრის რაფაზე ჩამოსკუპებული კნაჭა ფეხებს ნერვიულად იქნევდა, რატომღაც ხმას არ იღებდა. იჯდა ასე, გაბუტულივით და ოცნების გაცხადებით გაოცებულ ბიჭს ჯიუტად გადმოსცქეროდა.

— შენ რაო, მართლა მოხველ ჩემთან?! — ძლივს წამოილუღლუღა გაგამ.

— მართლა, მართლა მოველ.

— მართლა მთვარიდან?

— ჰო, რამ გაგაოცა?

გაგას უცებ უჩვეულო ღელვა დაეუფლა. ცოტა არ იყოს შეეშინდა კიდეც, მაგრამ მალე იგრძნო, რომ ეს შიში ცნობისმოყვარეობასთან ერთად თანდათან სიამოვნებასაც უღვივებდა.

— მთვარისხივავ!

— რაო, რა გნებავს? — მართლაცდა მთვარის სხივივით მსუბუქი და ნათელი ხმით იკითხა ციცქნა გოგონამ.

— რატომ წამოხველ მთვარიდან?

მთვარისხივამ ფეხების ქნევა შეწყვიტა. კიკინებიანი თავი ოდნავ გვერდზე დახარა, ეტყობა, რაღაც გაახსენდა ძალიან ნაღვლიანი, ფიქრიანი რაღაც...

— მომწყინდა მარტოდმარტო ყოფნა იქ... მეგობრებს დავეძებ, — თქვა მან ცივი, გაყინული ხმით, — და არ ვიცი ვიპოვი კი?

გაგამ შეამჩნია, რომ მთვარისხივას თვალებიც ჰქონდა, პაწაწკინტელა ქუთუთოებზე ცრემლი აუციმციმდა და მაშინ შეამჩნია.

— ამიტომ მოიწყინე?! — შეჰღიმილა მან მთვარისხივას, — მეგობრის პოვნას რა დიდი რამე უნდა. მიდექ-მოდექ და, ვისაც მოისურვებ...

— მე უკვე მივდექ-მოვდექი,—სიტყვა შეაწყვეტინა მთვარისხივამ.

— მერე, ვერავინ მონახე?!

— ჯერჯერობით ვერავინ, ერთის გარდა...

„ეს რა წუნია ვინმე ყოფილა!“ — გაიფიქრა გაგამ, მაგრამ იმის შეგრძნებამ, რომ იმ ერთადერთში მგონი მას გულისხმობდნენ, მკერდზე ზღვის თბილ ტალღასავით გადაუარა.

— ნეტავ ვინ უნდა იყოს? — თქვა და თვალები ეშმაკურად მოჭუტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვარისხივას არც მისი ეშმაკური ღიმილი გამოჰპარვია. ის ხომ ირგვლივ ყველაფერს ციცინათელასავით აშუქებდა.

— არ ვიცი... — ამოიოხრა მთვარისხივამ.

გაგას გუნება გაუფუჭდა. „აჰა, ის ვიღაც სულ სხვა ყოფილ!“—გაიფიქრა და ის იყო განაწყენებულს საბანი ისევ თავზე უნდა წაეფარებინა, რომ მთვარისხივას თხოვნა შემოესმა:

— დამიმეგობრდი, რა!

— მე?

— ჰო, შენ. ერთად ვიოცნებოთ. ვერ ვიტან ისეთ გოგო-ბიჭებს, ოცნების უნარი რომ არა აქვთ. ციმა, ციმციმა, ბრჭყვია, ცრემლა, ჭუტა, ფახულა, თავზე რა გახურავთ? — თქვა მთვარისხივამ და გაეცინა. გაეცინა, რადგან ბიჭი მეტისმეტი გაოცებისაგან თვალებად ქცეულიყო.

— შენ ხომ ვარსკვლავების ნათლია ხარ, ლექსებსაც იგონებ. დამიმეგობრდი და სხვები ერთად მოვძებნოთ...

— სხვები?! სხვები რაღად გვინდა?

— წამოიძახა გაგამ.

—გვინდა, რაც უფრო მეტი ყვავილებისა და ვარსკვლავების მეგობარი გვეყოლება, მით უფრო ხალისიანად ვითამაშებთ. თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ!

— მაშ, დაჰკარ ხელი!

მთვარისხივა უეცრად მოსწყდა ფანჯრის რაფას, რომელზეც ბალერინასავით დახტოდა და პირდაპირ გაგას საწოლისაკენ გამოექანა. მას მხრებზე პაწია ვერცხლისფერი ფრთებიც ჰქონდა. გაგამ საბნიდან ხელი გამოყო და, როდესაც სასთუმალთან შემომჯდარი მთვარისხივა დაიგულა, ჩურჩულით ჰკითხა:

— როდის მიმიპატიჟებ მთვარეზე?

— დღესვე, აი, თუნდაც ახლავე. აბა, გაემზადე. დახუჭე თვალები. ჩვენ უკვე მივქრივართ... აგერ, ჩვენი მეზობელი ვარსკვლავებიც: ციმა, ციმციმა, ბრჭყვია, ცრემლა, ჭუტა, ფახულა...

მიფრინავდნენ მთვარისხივა და გაგა და თან გზადაგზა უამრავ ახალ ვარსკვლავსა და კომეტებს ეცნობოდნენ. ვეებერთელა ყვავილნარივით ფერადი და მიმზიდველი იყო კოსმოსური სამყარო. გაგამ სხვა გოგო-ბიჭებსაც მოჰკრა თვალი. ისინი ჭრელი ბურთებითა და პეპლის საჭერებით მიიჩქაროდნენ სადღაც. ამათ აქ რაღა უნდათო, ჰკითხა მთვარისხივას. ის კი აღარ ახსოვს პასუხად რა მიიღო, ან რამდენ ხანს გაგრძელდა ეს მათი მგზავრობა. დილით, როცა თვალი ჭყიტა და მზით გაჩახჩახებულ ფანჯრის რაფას დააკვირდა, მაშინღა მიხვდა, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ ოცნება იყო, სიზმარში გადაზრდილი ოცნება. გული დაწყდა გაგას. ისევ დახუჭა თვალები. უნდოდა კიდევ ერთხელ გამოეხმო მთვარისხივა, რომელიც, ალბათ, საღამომდე აღარც მოვიდოდა...

— მთვარისხივავ,
მთვარისხივავ!
თქვი, რა გტკივა?
თავი გტკივა?
— არა, არა, გული მტკივა.
— რატომ?
— მეოცნებე ქალ-ვაჟებს
სამეგობროდ დავეძებ
და გაყინულ მთვარეზე
ვზივარ მარტოდმარტო...

— ჩვენ ხომ უკვე დავმეგობრდით! — წამოიყვირა გაგამ და ორთავე ხელი ღია ფანჯრისაკენ გაიშვირა.

ქუჩიდან შემოჭრილი მანქანების ხმაური და ჭიატა მზის სხივები რწმენითა და სილაღით უვსებდნენ პაწაწინა გულს.

მიზნის არჩევა

დანიელ გრანინი

ბევრ თქვენგანს, ბავშვებო, ალბათ უნახავს იგორ ტრავინსკის ფილმი „მიზნის არჩევა“. იგი ეძღვნება ატომური ენერგიის დამორჩილებას და ამ დარგში თავდადებით მომუშავე მეცნიერთა მოღვაწეობას, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში.

ეს წიგნი კი ერთგვარი ჩანაწერია ფილმისა.

ავტორს—ცნობილ საბჭოთა მწერალ დანიელ გრანინს — ხელთ ჰქონდა ზღვა მასალა იმის შესახებ, თუ როგორ იქმნებოდა ატომური ბომბი ჰიტლერულ გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საბჭოთა კავშირში; წინ ჰქონდა გადაშლილი ცხოვრება ფიზიკოსების, მერე როგორი ფიზიკოსებისა — ოპენჰაიმერის, ჰაიზენბერგის, კურჩატოვის, ნილს ბორისა...

ავტორი ძალზე საინტერესოდ მოგვითხრობს ატომური ბომბის შექმნის იმ მოვლენებზე, რომლებმაც ისტორიულად ჩამოაყალიბეს ჩვენი ეპოქა. იმ დღიდან, რაც ნაგასაკსა და ხიროსიმაზე ამერიკული ატომური ბომბები აფეთქდა, კაცობრიობის წინაშე მრავალი გლობალური პრობლემა წარმოიშვა. მას შემდეგ ათეულობით წლები გავიდა და დღესაც ატომური ომის პრობლემა სრულიადაც არ მოხსნილა დღის წესრიგიდან.

ერთი სიტყვით, წიგნის ქვეტექსტი მეტად მტკივნეულ სადღეისო პრობლემებზე ჩაგაფიქრებთ. „მიზნის არჩევა“ ერთი სულის მოთქმით იკითხება.

აღსანიშნავია, რომ იგი ლამაზი, დახვეწილი, მაღალმხატვრული ქართულით არის ნათარგმნი ჯუმბერ თითმერიას მიერ.

კეთილი ფერიები

მერი ბოლქვაძე

მოთხრობა „კეთილ ფერიებში“, რომლის სათაურიც თავის ახალ კრებულს უწოდა მწერალმა, ავტორი გვიხატავს ერთი ოჯახის ფაქიზ, დაძაბულ ბულებას მეზობლის ობოლი ბიჭუნასადმი და ვანო პაპასა და ოლა ბებიასადმი, რომელთა შვილებიც ქალაქში გადასახლებულან და მოხუცები მარტოდმარტონი დაუტოვებიათ სოფელში.

გულკეთილი დები თამრიკო და თინიკო დედას ჩაავლებენ ხელს და ნაირ-ნაირი ნუგბარით დატვირთულები ჯერ გელას მიულოცავენ ახალ წელს, შემდეგ კი მოხუცებს ეწვევიან. ის კი არადა, „კეთილი ფერიები“ საკუთარ ნაძვისხესაც კი გაიმეტებენ მეზობლებისთვის.

მერი ბოლქვაძის ახალი მოთხრობების კრებულში მართლაც რომ „კეთილი ფერიები“ სახლობენ.

აქ მოთხრობილია ნაირ-ნაირი ამბები მწერებისა და ფრინველებისა, ყვავილებისა თუ ცხოველებისა და ყველა მათგანში მწერალი ბავშვებს უნერგავს ერთმანეთის სიყვარულსა და მეგობრობას, უფროსების პატივისცემას. ასწავლის მათ კარგისა და ავის გარჩევას.

როგორ გაზომეს დედამიწა

ყველა საგნის გაზომვა შეიძლება, თუ მას ადამიანის თვალი მისწვდება, მაგრამ აბა სცადეთ და გაზომეთ თვალუწვდენელი დედამიწა.

ძველად ადამიანი ფიქრობდა, რომ დედამიწა მრგვალი კი არა, ბრტყელია და სამყაროს აქვს თავისი დასასრული. არსებობდა ასეთი სურათი-- ცის კამარაში თავგაყოფილი ბერი საკუთარი თვალით ეცნობოდა სამყაროს საიდუმლოებას. ზოგიერთი ხალხის წარმოდგენით დედამიწა სამ დიდ ვეშაპზე იდგა, სხვების წარმოდგენით — დიდ კუზე ან დიდ სპილოზე და ცხოველების მცირეოდენი მოძრაობაც კი მიწისძვრებს იწვევდა.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პრიმიტიული წარმოდგენები ფეხმოკიდებული იყო, ადამიანი ისევ და ისევ ცდილობდა ამოეცნო ბუნების საიდუმლოება, გაეგო, თუ სად იწყება



და სად მთავრდება მიწა, როგორია მისი ფორმა თუ ზომა. თურმე ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქალდეველებმა გაზომეს დედამიწის მერიდიანი. მათი გამოკვლევით მისი სიგრძე უდრიდა 76.800 კილომეტრს. მაგრამ დედამიწის ფორმის დადგენაში და გაზომვაში ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვით ძველ ბაბილონელებსა და ბერძნებს.

ბაბილონელების აზრით დედამიწა ბურთისებური იყო, ამიტომ შეიძლებოდა მისი გაზომვაც. ამ მიზნით ბაბილონელებმა წრეხაზი 360 თანაბარ ნაწილად გაყვეს და ერთ პატარა კუთხეს გრადუსი უწოდეს („გრადუსი“ ნიშნავს ნაბიჯს); მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია არავითარ ცნობას, თუ როგორ ზომავდნენ დედამიწას ბაბილონელები. ერთი ძველი ქალდეური ხელნაწერის მიხედვით ბაბილონელებს გაუზომავთ დედამიწის წრეწირი და დაუდგენიათ, რომ მისი სიგრძე 24.000 მილს აღწევდა, მაგრამ ჩვენთვის ცნობილი არ არის, თუ რას უდრიდა იმდროინდელი მილი. ქალ-

ᲒᲕᲘᲯᲝᲛᲔᲓ ᲒᲕᲔᲛᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲤᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ.
ᲒᲝᲩᲐ ᲙᲐᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔ-8 ᲗᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ, VII ᲙᲚᲐᲡᲘ.

gvmosavs xalisi Sromis
yvelgan — garet tu Signit;
sinaTlad iSurcleba
CveniI dReebis wigni.

dRe-dRe izrdeba temPi,
uCmad ar gava wamiC;
gmirobisakenS Sorit
gvixmobs, gveZaxis bami.

CveniI gulisTqmac wrfeli
iqit miCyveba niavs.
dilis mzesavit maRla,
maRla miiwevs nia.

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲛᲐᲠᲯᲘᲐ,
წᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲚᲣᲠᲘᲡ 8-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ, VIII ᲙᲚᲐᲡᲘ.

დეური მასალების მიხედვით ერთი მილი დაახლოებით აქლემის 40.000 ნაბიჯის ტოლი იყო, და რაკი აქლემის ნაბიჯი საშუალოდ 80 სმ-ია, გამოდის, რომ ბაბილონელთა გაზომვის მიხედვით დედამიწის წრეწირის სიგრძე 76.800 კილომეტრს უტოლდებოდა. სწორედ ამით ჩაეყარა საფუძველი დედამიწის გაზომვას; შემდეგ კი სხვა ხალხებმა, პირველ რიგში ბერძნებმა, ბევრი რამ ისწავლეს ბაბილონელებისაგან. როგორც წესი, ძველად მანძილს ცხენის ან ადამიანის ნაბიჯით ზომავდნენ.

მაგრამ ნელი სიარულისას ნაბიჯი ხომ მოკლეა, სწრაფი სიარულისას კი გრძელი, მოდი და გაიგე, რას უდრის ნაბიჯის სიგრძე. აქ ადამიანი შეიძლება ათასი კილომეტრებით შეცდეს.

ძველი ჩინელების აზრით დედამიწას კვერცხისებური ფორმა ჰქონდა. წყაროების მიხედვით თურმე ორმა ჩინელმა შემდეგნაირად გაზომა დედამიწა: ერთი წავიდა ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით, მეორე აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით და ორივე შემთხვევაში თურმე ერთი და იგივე შედეგი მიიღეს. ეს იყო 134.000 ლი, რაც ჩვენებურად დაახლოებით 40.000 კილომეტრს უდრის. ჩინური წყაროები არ გვაუწყებენ, თუ როგორ გაზომეს ასე ზუსტად ჩინელებმა დედამიწის წრეწირი, მაგრამ ფაქტია, რომ ბაბილონელებსა და ძველ ჩინელებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შედარებით ზუსტად გაუზომავთ დედამიწა.

გამოჩენილი ბერძენი მეცნიერის ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელის, არისტოტელეს აზრითაც დედამიწა მრგვალი იყო, მაგრამ უძრავად იდგა. მის გარშემო ბრუნავდნენ მზე და ვარსკვლავები. არისტოტელეს ეკუთვნის სამყაროს გეოცენტრული თეორიის ჩამოყალიბება, რომელიც შემდეგში განავითარა ცნობილმა ძველბერძენმა მეცნიერმა და კარტოგრაფმა კლავდიუს პტოლემემ. იმავე არისტოტელეს ცნობით, გამოჩენილმა მეცნიერმა ჰიპარქემ თურმე გაზომა მანძილი მზეს, დედამიწასა და მთვარეს შორის. თუმცა რა ხერხით გაზომა ან რა შედეგები მიიღო, ამაზე არისტოტელე არაფერს ამბობს.

დედამიწის გაზომვაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ძველ ბერძენ მეცნიერს ერატოსთენე ენგელაოსის ძეს (დაიბადა 267 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ე. ი. 2292 წლის წინათ ქალაქ კირენაში). იგი იყო ალექსანდრიის ცნობილი ბიბლიოთეკის გამგე. იმ დროს ეგვიპტის ქალაქი ალექსანდრია მსოფლიოს კულტურის უდიდეს ცენტრად ითვლებოდა. ერატოსთენემ გამოიგონა მზის სიმაღლის გასაზომი ხელსაწყო — სკაფისი, გაზომა მზის ზენიტური მანძილი ეგვიპტის ქალაქებს სიენასა და ალექსანდრიას შორის, რის შედეგადაც გამოარკვია, რომ დედამიწის ეკვატორის სიგრძე იყო 39.650 კილომეტრი (ეს შედეგი ნამდვილი მანძილისაგან მხოლოდ 257 კილომეტრით განსხვავდება), ხოლო განედი სიენასა და ალექსანდრიას შორის 7,2 გრადუსს უდრიდა, ეს კი დედამიწის წრეწირის მეორმოცდაათედ ნაწილს შეადგენდა.

თუ რკალის სიგრძედ, იმდროინდელი საზომი ერთეულების მიხედვით, 5.000 სტადიას ვიანგარიშებთ, მაშინ წრეწირის სიგრძე 250.000 სტადიას უდრის. ამ მონაცემებს ერატოსთენემ ყოველი შემთხვევისათვის მიუმატა 2000 სტადია, რადგან 252.000 უნაშთოდ იყოფა 360-ზე. ზუსტად არ ვიცით, თუ რას უდრიდა ეგვიპტური სტადია. მაგრამ მეცნიერთა მიახლოებითი გამოანგარიშებით ეს იყო 158,6 მეტრი, გამოდის, რომ ერატოსთენეს

ჩემი ქვეყნის ყვავილები.

ნაქარგი ნანი მელაძისა,
ხულოს რაიონის სოფ. ოქტომბრის
საშუალო სკოლა, VII კლასი.

შენ გიმღერი

შენ გიმღერი, სამოცი წლის
დროშავ ალისფერო,
დროშავ, სმოლნში აღმართულო,
მზის ამოსვლის მაცნევ;
შენ გიმღერი „ავრორას“ ხმავ,
ხმაო საოცნებო,
გიმღერ, ლენინის პარტიავ,
ბნელეთს რომ ამარცხებ.

სამოცი წლის საბჭოეთო,
შენ გიმღერი მუდამ,
შენს ყველა შვილს,
შენს ყველა ერს
ვუმღერ ქართულ ხმაზე,
შენს მშრომელ ხალხს, —
პარტიას რომ
დარაზმული მიჰყავს
ახალ-ახალ მიღწევებით
კომუნიზმის გზაზე.

ნინო ახალაია,
გეგეჭკორის რაიონის ქვემო ნაგვაზაოს საშუალო სკოლა, X კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხედვით დედამიწის წრეწირის სიგრძე 39.650 კილომეტრს უდრიდა.

ეს ბრწყინვალე შედეგია. გარდა იმისა, რომ ერატოსთენე ერთ-ერთი პირველთაგანი ავტორია, რომელმაც გაზომა დედამიწის წრეწირი, მას საერთოდ დიდი დამსახურება მიუძღვის გეოგრაფიული მეცნიერების წინაშე—მან პირველმა შემოიღო დღეისათვის საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინები — გეოგრაფია, გრადუსთა ბადე, გეოგრაფიული განედი, გეოგრაფიული გრძედი და სხვ.

ფრანგი ასტრონომის მოროს აზრით ხუფუს (ხეოფსის) პირამიდის სიმაღლე იმაზე მეტყველებს, რომ ძველ ეგვიპტელებს უნდა სცოდნოდათ მანძილი დედამიწიდან მზემდე. თურმე, ხუფუს პირამიდა დედამიწიდან მზემდე მანძილის ზუსტად ერთი მემილიარდედი სიმაღლისა ყოფილა, (148,208 მეტრი). ამას თურმე ადასტურებს ხეოფსის პირამიდის კედლებზე ამოკვეთილი კიდევ ერთი საინტერესო ციფრი 2520. ეს ციფრი თურმე ერთადერთია, რომელიც იყოფა ყველა რიცხვზე ორიდან დაწყებული და ათით დამთავრებული.

ერატოსთენეს შემდეგ დედამიწის წრეწირი გაუზომია ბერძენ მეცნიერს კლეომენს (მეორე საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე, შედეგი—56910000 მ), ხოლო პირველ საუკუნეში პოსიდონეს, რომლის შედეგი ნამდვილი მონაცემიდან ძალზე შორს დგას (34 146 000 მ).

გამოჩენილმა ბერძენმა დრამატურგმა არისტოფანემ თავის კომედიაში „ღრუბლები“ აგვიწერა დიდი მეცნიერის —სოკრატეს სკოლის ორი წარმომადგენლის დიალოგი დედამიწის გაზომვაზე.

ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით აგრეთვე არაბ მეცნიერებს, მათ შორის ჰაბიბ-იბნ-აბდულ მალიქ ალი იბნ სინის (IX საუკუნე, შედეგი—41 779 000 მ). დედამიწის წრეწირი გაუზომია გამოჩენილ უზბეკ მეცნიერს ალ-ბირუნისაც.

შუა საუკუნეებში გამოჩენილმა მეცნიერებმა კოპერნიკმა, ბრუნომ, გალილეომ, ვანინიმ და სხვებმა უარყვეს დედამიწის გეოცენტრული თეორია, და საფუძვლად მიიღეს სამყაროს ჰელიოცენტრული თეორია. ცნობილმა ჰოლანდიელმა მეცნიერმა სნელიუსმა გამოიგონა ტრიანგულაციის მეთოდი („ტრიანგულაცია“ ნიშნავს „სამკუთხედს“). ამ მეთოდისა და ახალი ხელსაწყოების გამოგონების შედეგად XVII-XVIII საუკუნეებში დედამიწის წრეწირი გაზომეს იმავე სნელიუსმა, აგრეთვე გამოჩენილმა მეცნიერმა პიკარმა, ნიუტონმა, ჰიუგენსმა, ლა-კონდამინმა, ლაპლასმა, დალამბრემ, კლერკმა და სხვებმა.

როგორც ირკვევა, ჩვენი წინაპრები არცთუ ისე ცუდად ზომავდნენ დედამიწის წრეწირს, თუმცა საკმაოდ პრიმიტიული ხელსაწყოები ჰქონდათ.

სსრ კავშირის გეოდეზიის ცენტრალური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ზუსტი მონაცემების მიხედვით, დედამიწის წრეწირის სიგრძე ზუსტად უდრის 40.076.594 მეტრს, დედამიწის ფართობი — 510.100.934 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მთლიანად დედამიწის მოცულობა—1.083.320.000.000 კუბურ კილომეტრს.

აი ასე გაზომეს ჩვენმა წინაპრებმა დედამიწა. ასე დადგინდა მეცნიერულად დედამიწის ფორმა და მისი ყველა სხვა განზომილება.

გრიგოლ ზარდალიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია

მრავალი წლის წინათ, როცა ყვავილებს ჯერ კიდევ ლაპარაკი შეეძლოთ, ერთ დიდ ბაღში მშვენიერი ტიტა ყვავოდა. ამ ბაღის პატრონი იყო კეთილი ფერია, რომელსაც ყვავილები ძალზე უყვარდა.

ტიტა ცეცხლისფრად ბრდღვიალებდა და უცხო სურნელებას აფრქვევდა. ვინც ბაღში შევიდოდა, ყველა ამ ყვავილით იხიბლებოდა. ჩიტუნებს უყვარდათ მის სიახლოვეს ყოფნა. ჩამოსკუპდებოდნენ ხოლმე ხის ტოტებზე და ხალისიანად

შესჭიკჭიკებდნენ. ბულბული ეშხით უგალობდა სახოტბო ჰანგებს.

ფრთახატულა პეპლებსაც დავიწყებოდათ სხვა ყვავილები და ტიტას ევლებოდნენ თავს.

ამდენი თაყვანისმცემლით გაამაყებული ტიტა დანარჩენ ყვავილებს ტუჩს უბზუებდა.

იქვე ბალახში პაწაწინა ია ამოეყო თავი. ტიტამ ალმაცერად გადახედა ნამცეცა ყვავილს და ჩიტუნებსა და პეპლებს გადაულაპარაკა:

— შეხედეთ ერთი, ამ გონჯსაც რომ ჩვენს ბაღში მოუკალათებია!

ჩიტუნები და პეპლები მოერიდნენ გამეტიჩრებული ტიტას წყენინებას და მათაც წაიჭორავეს:

— მაშ, მაშ, რა მოურიდებელი რამ ყოფილა!

— შნო შენ არა გაქვს და სურნელება, გაეთრიე ახლავე ამ ბაღიდან, შე წრიპა მაიმახო! — დაუცაცხანა ტიტამ.

კეთილმა ფერიამ ყური მოჰკრა ამ ლაპარაკს და თავგასულ ყვავილს უსაყვედურა:

— როგორ შეიძლება ასეთი გულფიცხობა! თუ საბრალო იას არა გააჩნია რა, როგორც შენ დასცინე, მაშინ უწილადე რამე შენი სიმდიდრიდან.

ფერია მსუბუქად შეირხა და... უცებ იას მიეცა ის საამო სურნელება, რომელიც ბაღის პატრონმა ტიტას წაართვა.

მას შემდეგ ტიტა მხოლოდ თავის სილამაზით გვხიბლავს, სურნელება კი აღარა აქვს. ხოლო ია ისევე მორცხვი და თავმდაბალია, თუმცა ბევრ სხვა ყვავილზე უფრო ლამაზია და უკეთეს სურნელებასაც აფრქვევს.

რა ღაჟეჯრთა ბუბული

ეს ძველისძველი ამბავია, იგი ბებიაჩემის ბებიას თავისი ბებიის დიდედისაგან მოუსმენია, მას კი პატარობისას წიგნში წაუკითხავს. ახლა თქვენ გიამბობთ და კარგად მომისმინეთ.

ერთ მშვენიერ დღეს გამრჯე და საქმისმოყვარულმა კაჭკაჭმა ფრინველების სია შეადგინა, ტყეში მყუდრო ადგილი ამოირჩია და ყველა ერთად შეკრიბა.

— მინდა გავიგო, თითოეულ თქვენგანს რისი გაკეთება შეუძლია, რისი ნიჭი და უნარი აქვს, და თან ახალ-ახალი რამეც შევისწავლოთ, — მიმართა მან შეკრებილებს.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამხიარულდნენ ჩიტები, — აჟივჟივდნენ, აჟღურტულდნენ, აკუტკუტდნენ, აკრიახდნენ, აჭიკჭიკდნენ და აგალობდნენ. ერთი სიტყვით, ყურთასმენა წაიღეს.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი! — შეაქო კაჭკაჭმა. — ამიერიდან სიმღერასა და გალობას კიდევ უკეთ შევისწავლით, მაგრამ თან ფიზიკურ შრომასაც უნდა მივეჩვიოთ. ხვალ ამ დროს აქვე შევიკრიბოთ სამეცადინოდ.

მეორე დღეს ყველა უკლებლივ მოფრინდა დიდი მუხის ძირას, სადაც ტყის სკოლა გახსნეს.

კაჭკაჭმა სია ამოიკითხა და გამოირკვა, რომ გუგული არ ესწრებოდა.

დაიწყო ხალისიანი მეცადინეობა. ბულბული, შაშვი და ტოროლა გალობის გაკვეთილებს ატარებდნენ, ყარყატი და ბეღურა ფიზკულტურის მასწავლებლები იყვნენ — პირველი ცალ ფეხზე დგომაში ავარჯიშებდა თავის შეგირდებს, მეორე კი — ხტუნვასა და გადახტომაში. მერცხალი ბუდეების აგებას ასწავლიდა, ჭრელი თუთიყუში — უცხო ენებს, ბრძენი ბუ — ისტორიასა და ასტრონომიას, მოგზაურობის მოყვარული შოშია — გეოგრაფიას.

სკოლაში ბევრი საგნობრივი წრეც შექმნეს. ამაყი არწივი ფრენას ასწავლიდა, თოლია — თევზის ჭერას, კოდალა — დურგლობას.

ფრინველები ბეჯითად და გულმოდგინედ სწავლობდნენ. მარტო გუგული არ დადიოდა მეცადინეობაზე. მხოლოდ ერთხელ მოფრინდა, როდესაც გამოცდები უკვე კარზე იყო მომდგარი, ჰოდა, გამოცდაზე ჩაიჭრა.

სიზარმაცის გამო იგი ცხოვრებაში უმეცარი დარჩა, ბუდის აგებაც კი არ იცის და თავის კვერცხებს სხვის ბუდეებში დებს ხოლმე.

გერმანულიდან თარგმნა
ზ. ამირანაშვილმა.

ჯანსაღი ჯანიერებისათვის

კბილები საჭმლის მომნელებელ ორგანოებს ეკუთვნის. მათი საშუალებით საკვები იკბიჩება, იღეჭება და ფაფისებურ მასად იქცევა. პირის ღრუში საკვების ქიმიურად გადამუშავებას იწყებს მასთან შერეული ნერწყვი. ასე ნახევრად გადამუშავებული საკვები საყლაპავი მილით გადადის ჯერ კუჭში და შემდეგ ნაწლავებში, სადაც ხდება საკვების საბოლოო გადამუშავება.

კბილი ძვლოვანი ქსოვილია. შედგება გვირგვინისა და ფესვისაგან. გვირგვინია კბილის ის ნაწილი, რომელიც მოჩანს, ფესვი კი ღრძილშია ჩამალული. ღრძილიდან კბილში შედის ნერვის პატარა ტოტი და სისხლის ძარღვი. ღრძილების ძარღვი. ღრძილების მდგომარეობაზე დამოკიდებულია კბილების ჯანმრთელობა. არ უნდა დაირღვეს ღრძილში სისხლის მიმოქცევა.

ჯანმრთელი ღრძილი ბაცი ვარდისფერია და კბილს მაგრად ეკვრის.

თუ ღრძილები შესიებულია, ან თუ ჯაგრულათი კბილების გასუფთავების დროს ღრძილებიდან სისხლი გამოდის, კბილის ექიმს უნდა მივმართოთ, რადგან ეს იმის მაჩვენებელია, რომ ორგანიზმს აკლია ვიტამინი, განსაკუთრებით კი C ვიტამინი ანუ ასკორბინის მჟავა.

ზოგჯერ კბილის ძირში, უფრო ხშირად მის შიგნითა მხარეს, ჩნდება მუქი ფერის ლაქა ან ნალექი. ეს არის ნივთიერებათა ცვლის მოშლის მაჩვენებელი და ამ დროს საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებაც ხშირად შეინიშნება ხოლმე.

კბილების დაავადების თავიდან ასაცილებლად უპირველესად საჭიროა ისეთი საკვების მიღება, რომელსაც დაღეჭვა სჭირდება, რადგან ღეჭვის დროს ღრძილში სისხლის მიმოქცევა ძლიერდება. ასეთი საკვებია — ხმელი პური, უმი ბოსტნეული— სტაფილო, ჭარხალი, კიტრი, ბოლოკი და სხვა. ნახევრად გადამუშავებული საკვების — კატლეტის, „ტოლმის“, მოშუშული კომბოსტოს, კარტოფილის პიურეს, ხილფაფისა და სხვათა სისტემატური მიღება კი ღრძილებისათვის საზიანოა, რადგანაც ღრძილებში სისხლის მიმოქცევა ნელდება. კბილებში ვითარდება შეგუბება, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის მიკრობების გამრავლებისათვის. ასე იწყება კბილების დაზიანება.

დაავადებულ კბილში ჩნდება სიღრუვე. იგი მიკრობების დასაბუდებლად მოხერხებული ადგილია. შემდეგ კი აქედან მიკრობები სისხლში გადადიან. კბილის დაზიანების სხვა მიზეზებიდან საგულისხმოა კბილების ჰიგიენისადმი არასერიოზული დამოკიდებულება. საკვების მიღების შემდეგ კბილებს შორის რჩება საკვების მცირე ნარჩენები, რაც მიკრობთა გამრავლებას უწყობს ხელს.

ყოველი კვების შემდეგ რამდენჯერმე უნდა გამოივლოთ პირში ცივი წყალი.

ერთ ბავშვთა სახლში ექიმის წინადადებით შენობასა და ეზოში გაიყვანეს რამდენიმე პატარა შადრევანი დასალევი წყლით. ერთი წლის განმავლობაში ბავშვების ერთი ჯგუფი ყოველი კვების შემდეგ პირში ცივ წყალს ივლებდა, მეორე ჯგუფი კი — არა. შემდეგ კბილის ექიმმა შეამოწმა და აღმოჩნდა, რომ პირველებს კბილებში ნაკლები ჰქონდათ, მეორეებს კი — რავლესობას კი — დაზიანებული.

ყველა თქვენგანი, რასაკვირველია, ძილის წინ ჯაგრულათი ისუფთავებს კბილებს. დღე-ღამეში ჯაგრულათი კბილების გასუფთავება მხოლოდ ერთხელ შეიძლება, რადგან ჯაგრულა აზიანებს კბილის გარეგან საფარველს. — მინანქარს. ამიტომ ჯაგრულათი კბილების დიდხანს ხეხვასაც უნდა მოვერიდოთ.

კბილების გასუფთავების შემდეგ ჯაგრულა უნდა გარეცხოთ და შეინახოთ სოდიან წყალში. ხმარების წინ კი ისევ წყალი უნდა გადაავლოთ და კბილის ფხვნილით ან პასტით გაიწმინდოთ კბილები.

როგორც ხედავთ, კბილების მოვლა სულ ადვილი ყოფილა. კბილი რომ საღი იყოს, დაზიანებული კბილის ტკივილმა რომ არ შეგაწუხოთ ან არ გატიროთ, დასაბურღი მანქანა რომ არ დაგჭირდეთ, წელიწადში რამდენჯერმე უნდა მიმართოთ კბილის ექიმს, რომელიც შეამოწმებს თქვენი კბილების მდგომარეობას და მოგცემთ სათანადო რჩევა-დარიგებას.

ლ. შევარდნაძე,
საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სტომატოლოგი.

ცხოველთა თავშესაფარი

ბიოლოგები აღნიშნავენ, რომ ბუნების მთელ რიგ ქმნილებებში წარმოუდგენელი სიზუსტითაა შეხამებული სილამაზე და ფუნქციონალურობა, მხატვრული და ტექნიკური სრულყოფილება. ასეთებია: ობობას ქსელი, ნემსიყლაპიას ფრთა, დელფინის უბადლო, სიგარისებური სხეული, გეპარდის ნახტომი, კატის კამარა... ყველაფერი ეს სრულქმნილების შედეგია.

გეპარდი, შევარდენი, კატა თითქოსდა აღიქვამენ თავიანთ გრაციით აღსავსე მოძრაობის ნატიფ სილამაზეს. ალბათ ამიტომაც იმეორებენ თავადავიწყებით ათასგვარ ვირაჟებს, მალაყებსა და ნახტომებს.

მოძრაობის სამყაროში გადატანილ მსგავს თამაშებს განსაკუთრებული ადგილი უკავია მთელ რიგ ცხოველებში.

რა არის თამაში? ეს ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ურთულესი კითხვაა, როგორც ადამიანთა, ისე ცხოველთა სფეროში. როცა კნუტი, ლეკვი ან ბავშვი თამაშობენ, ჩვენ შესანიშნა-

მელა

ჩინური გამგუკის დათვი

სიასამური

ვად გვესმის ამ მოქმედების არსი. მაგრამ ნამდვილი განსაზღვრა საქმიანობის ამ ფრიად მნიშვნელოვანი სახისა ძალიან ძნელია.

ზოოფსიქოლოგიის მამამთავრის კონრად ლორენცის აზრით, თამაშის ყველა ფორმას ერთი საერთო თვისება აქვს: იგი ძირეულად განსხვავდება „სერიოზული" საქმიანობისაგან, მაგრამ ამავე დროს, აშკარად ამყლავნებს მსგავსებას კონკრეტულ, სრულიად სერიოზულ სიტუაციებთან, და არა მარტო მსგავსებას, არამედ იმიტაციასაც.

როდესაც მოჭარბებული ენერგიით აღტყინებული კურდღელი თავის კვალს ფარავს, თუმცა მტაცებელი არ ემუქრება, ეს „თამაშია". ბავშვიც, რომელიც მძღოლს ბაძავს, ასევე თამაშობს.

შეიძლება ითქვას, რომ არ თამაშობენ მხოლოდ განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ცხოველები. ისინი იკვებებიან, სძინავთ, ნაყოფიერდებიან, თავი წესრიგში მოჰყავთ. ასეთი არიან ბაყაყები, მწერები, მიწის ჭიაყელები, ლოკოკინები და ბევრი სხვა პრიმიტიული არსება.

ფრიად მნიშვნელოვანია ცხოველთა თამაშები. ცხოველთა სამყაროში მეცნიერები არჩევენ ინდივიდუალურსა და კოლექტიურ თამაშებს.

„ინდივიდუალური" თამაშების დიდოსტატებად ითვლებიან წავები, ციყვები, ყარყუმები და სხვ.

ცნობილი ინგლისელი მეცნიერი სალი კერიგერი პოეტურად აღწერს მფრინავი ციყვების თამაშებს პენსილვანიის მუხნარ ტყეებში. „დაიწყო თამაშების სეზონი. საკვების ზამთრის მარაგი შეგროვილია, საცხოვრებელიც წესრიგშია მოყვანილი, მოზარდ თაობას უკვე შეუძლია თავის თავზე იზრუნოს. ამ დროს ხეებს უკვე სცვივათ ფოთლები, მთელი ძალით ანათებს მთვარე და მფრინავი ციყვებიც, თითქოსდა წინასწარ შეთქმულები, იწყებენ ხიდან ხეზე პლანირებას. ცხოველები შიშველ ტოტებზე სხდებიან, ხანდახან კი შემოდგომის ფოთლების მსგავსად ცვივიან იქიდან. და აი, სწორედ ამ დროს იწყება ნამდვილი საჰაერო კარნავალი!"

მდინარის წავები ისე მოხერხებულად იჭერენ თევზს, რომ კვების პრობლემა მათ დიდ დროს არ ართმევს. სამაგიეროდ, ისინი ხელგაშლილად ფლანგავენ დროს თამაშებზე. განსაკუთრებით მოსწონთ ამ ელეგანტურ ცხოველებს სრიალი. პირველი ყინვების დადგომისთანავე წავები მოუხშირებენ ხოლმე მდინარეთა ნაპირებზე სიარულს და პატარა ბავშვების მსგავსად, გაქანდებიან და გასრიალდებიან ახალ ყინულზე. ისინი არც თოვლის ნამქერს ერიდებენ უყურადღებოდ. წავები მოხერხებულად აძვრებიან ნამქერის წვერზე და სრიალით დაბლა ეშვებიან ისე, რომ თოვლის ბუქს აყენებენ. ამ დროს ეს ცხოველები ისეთი ბედნიერები არიან, რომ გულგრილად ვერ შეხედავთ, შეგეხარბებათ.

წავები არც ზაფხულობით იკლებენ მსგავს სიამოვნებას. ამ დროს უპირატესობა მდინარეთა და ნაკადულთა თიხიან სანაპიროებს ეძლევა. ცხოველთა სველი მუცლის ხშირი შეხებით ასეთი სანაპიროები თანდათან სარკესავით იწყებენ პრიალს. ოდიუბაინი და ბახმანი ამტკიცებენ, რომ წავები რამდენიმე ფუტი სიმაღლის საზაფხულო სასრიალოებს აწყობენ; გულდასმით წმენდენ მათ ქვების, ხავსის, ფესვებისა და სხვა წინაღობისაგან. ეს კი, თავისთავად, ამ ცხოველთა საოცარ მიხვედრილობაზე მეტყველებს.

წავების ამ თამაშის მსგავსი შეგრძნება კარგად არის ცნობილი მოთხი-

ლემური

ლამურეებისა და მოციგავეებისათვის.

ხტუნაობა ირმებისა და შვლებისათვის გართობის მთავარი საშუალებაა. ირმები იმ სიმაღლეზე ხტებიან, გეგონებათ ჰაერში ფრენენო, თანაც ერთი კამარის შემდეგ ტყის რბილ ხალიჩაზე ჯერ ფეხი არა აქვთ დაკარებული, რომ მეორე ნახტომისათვის ემზადებიან. ხტუნვას მსხვილი ჩლიქოსნების ცხოვრებაში ხშირად პრაქტიკული დანიშნულება (მტრისაგან თავის დაღწევა) აქვს, მაგრამ საკმაოდ ხშირად ცხოველები გართობის მიზნითაც დახტიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალი კერიგერის დაკვირვებით, კოლექტიური თამაშობა ცხოველებში ყველაზე ხშირად ჭიდაობაა. თურმე ბევრ ცხოველს სიამოვნებას ჰგვრის „ტყუილი ბრძოლა"; ამით განსაკუთრებით მოზარდი თაობა ერთობა.

შეჯიბრება, მისი სხვადასხვა გამოხატულებით, ცხოველთა ჯგუფური თამაშების ტიპური ელემენტია. ამაში არაფერია გასაკვირი — ცხოველები ხომ მიჩვეულნი არიან ერთმანეთში ქიშპობას ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად.

ცხოველთა შემსწავლელი ფსიქოლოგები აღნიშნავენ მოთამაშე ცხოველთა თავშეკავებულობას. მოთამაშეთა აზარტი არასოდეს არ გადადის ჩხუბში.

რაც უფრო მეტია მონაწილეთა რაოდენობა თამაშში, მით ნაკლებია ურთიერთქიშპობის ელემენტები, თამაშები კი უფრო მეტად ატარებს გართობის ხასიათს. ასეთ თამაშებს მიეკუთვნება თევზების შეთანხმებული, ქარავნებად ცურვა და ფრინველთა გუნდური ფრენა. დღემდე ეს მოვლენა საიდუმლოებით არის მოცული. გაუგებარია, თუ როგორ ახერხებენ ცხოველები თავის ბრწყინვალე, ხშირად, გულდასმით დამუშავებულ მოძრაობათა კოორდინირებას.

ვის არ შეუნიშნავს გამჭვირვალე წყალში ათობით, ზოგჯერ ასობით ერთჯგუფად მოცურავე ლიფსიტა. ლიფსიტების ქარავანი ხშირად წყლის ნაკადს ანდა წყალქვეშა მცენარეს მოგვაგონებს. დააკვირდით, როგორ ჰარმონიულ ზიგზაგებს აკეთებენ ლიფსიტები, როგორ ავიწროებენ ქარავნის შიგნითა ნაწილს, და პირიქით, მოხდენილად შლიან გარეთას. მიაქციეთ ყურადღება, როგორ ერთდროულად ანელებენ სვლას და ჩერდებიან ადგილზე. ლიფსიტების ქარავნის მოძრაობა არ უნდა გავაიგივოთ ზოგიერთ ძუძუმწოვართა ჯოგის ან ხროვის გადაადგილებასთან, სადაც მოძრაობას ხელმძღვანელობს, დირიჟორობს წინამძღოლი. თევზებში ასეთი რამ არ ხდება. აქ ერთ მათგანს არ მიჰყვება მეორე, მეორეს მესამე და ა. შ. ლიფსიტების ქარავანი არ არის დაწალიკებული. რიგი მოძრაობა აქ სინქრონიზებულია და შესანიშნავ ნახატს ქმნის. ურთიერთკავშირის რა ფორმას იყენებენ ამ დროს თევზები? ამის შესახებ ბევრი მოსაზრება არსებობს, ერთმნიშვნელოვანი პასუხი კი — არც ერთი. მსგავსი ქცევების განმსაზღვრელად იხმარება სპეციალური ტერმინი — „ალელომიმეტიკა", რაც ურთიერთწაბაძულობას ნიშნავს.

ცაში ფრინველთა გუნდის ტრიალი ალელომიმეტურია. შემოდგომობით თბილისის თავზე თავს იყრიან ათასობით გადამფრენი შოშიები. გამოსაზამთრებლად შორეულ ქვეყნებში წასვლის წინ, ფრთოსნები თითქოსდა მარშირებას გადიან. იწყება თავბრუდამხვევი, მაგრამ საოცრად შეთანხმებული ილეთების მონაცვლეობა — ნამდვილი საჰაერო კარნავალი. უკეთებენ რა ანალიზს ცხოველთა თამაშებს, მფრინავი ციყვების ხიდან ხეზე პლანირებას, ბელეტ-

მანჯურიული წერო

ბის ჭიდაობას, ვეშაპების წყლიდან ხტომას. წავების სრიალს, კატის კნუტის ათასგვარ ოინებს და ა. შ. ზოოფსიქოლოგები ერთ აზრამდე მიდიან: ამ დროს ყველა ერთნაირად გრძნობს თავისუფლებით მინიჭებულ უდიდეს სიხარულს.

მეცნიერთა აზრით, მოზარდი შიმპანზეები თამაშის საშუალებით მომავალი ცხოვრებისათვის იწვრთნებიან: ეცნობიან გარემოს, სწავლობენ სხეულის დაჭერას ათასგვარი ტრიუკისას, ივითარებენ დაკვირვების უნარს (სწრაფად გადაიანგარიშებენ გონებაში — მისწვდებიან თუ ვერ ამა თუ იმ ტოტს, გაუძლებს თუ არა ტოტი მათ და ა. შ.). ყველაფერი ამის ზედმიწევნით ცოდნა მოზარდს აუცილებლად გამოადგება მომავალში ჩხუბის, თავდაცვის, საკვების მოპოვებისას და ა. შ. აღსანიშნავია, რომ შიმპანზეებისაგან განსხვავებით პატარა გორილები მაინცდამაინც არ გამოირჩევიან თამაშის სიყვარულით. ზოგჯერ მათ დღეებიც კი გაჰყავთ ისე, რომ არ თამაშობენ. განსაკუთრებით უხალისონი არიან ეს ცხოველები წვიმიან ან მოღრუბლულ ამინდში.

ჯგუფური თამაშებიდან გორილების ყველაზე საყვარელი გასართობი ჭიდაობაა. მეორე პოპულარული თამაშია „გააკეთე, რასაც მე ვაკეთებ". ამ თამაშის დროს პატარები ხეებზე ცოცდებიან, ლიანებით დაბლა ეშვებიან და ზოგჯერ ანცების მარშრუტი მდედრის მუცელზე გადაინაცვლებს ხოლმე. ზოგჯერ ისინი თამაშობენ ერთმანეთის გადაგდებობანას რაიმე მოზრდილი საგნიდან, მაგალითად, კუნძიდან. ამ დროს დაშვებულია გადაგდების ყოველგვარი ხერხი, და მაინც, შეჯიბრი ყოველთვის უფათერაკოდ მთავრდება...

თუ თამაში გორილას ნაშიერისათვის უხეშ ხასიათს იღებს, მოთამაშე ამას შემდეგნაირად გამოხატავს: იგი ბურთივით შეიკუმშება, ხელებსა და ფეხებს სხეულის ქვეშ მოიქცევს და მოწინააღმდეგეს ფართო ფრონტით მიუშვერს ზურგს. ასე ხდება ზრდასრული მდედრების თამაშის დროსაც. ეს პოზა ცხოველებში მორჩილების გამომხატველია, რის შემდეგ თავდამსხმელი თავს იკავებს შემდეგი აგრესიისაგან. პარალელს ავლებენ რა ადამიანთა საზოგადოებასთან, მეცნიერები აღნიშნავენ, რომ მორჩილების ამ უესტს ფართო გამოყენება ჰქონდა კაცობრიობის განვითარების ადრინდელ ეტაპზე. ასე მაგალითად, ტყვედ ჩავარდნილი მეომარი გამარჯვებულის წინაშე მორჩილების ნიშნად, მიწაზე დაემხობოდა ხოლმე. მორჩილების გამომხატველმა ამ უესტმა შემდეგ რიტუალური ხასიათი მიიღო და თანდათან გადაიქცა მისალმების უესტად. აღმოსავლეთის მოსახლეობის მდაბალი სალამი, ევროპელის თავის დაკვრა, თავისი საფუძვლებით დაკავშირებულია მორჩილების ნიშნად მიწაზე გართხმასთან, ანუ აგრესიულ განზრახვათა უქონლობასთან.

თამაშობათა უსასრულოდ გამრავალფეროვნების დიდი ნიჭით გამოირჩევიან დელფინები, მით უმეტეს ადამიანებთან კონტაქტისას.

თანამედროვე ოკეანერიუმებში სხვადასხვა სახეობის დელფინები დიდი ხალისით უჩვენებენ მრავალრიცხოვან მაყურებელს ნაირგვარ ტრიუკებს: ზუსტად ათავსებენ ბურთს კალათბურთის ბადეში, ხუთიექვსი მეტრის სიმაღლეზე ხტებიან წყლიდან, დგებიან თავზე (აკეთებენ „ყირას"), „დადიან" კუდზე, ბუქსირით დაჰყავთ მოცურავეები, რეკავენ ზარს და ა. შ.

ჩვენ შევეხეთ ცხოველთა მთელ რიგ თამაშობებს: ჭკვიანურს, გასართობს, მოხერხებულს.... რითი

ᲩᲔᲛᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲠᲘ

ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

კოლუმბიის პიონერთა კავშირი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშაობს. პიონერებთან მუშაობას პარტია ერთ-ერთ ძირითად საქმედ თვლის. ეს გასაგებიც არის — ქვეყნის ხვალინდელი ბედი დღევანდელ გოგონებზე და ბიჭებზეა დამოკიდებული.

პიონერული ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა: მოუმზადოს სათანადო ცვლა კომკავშირსა და კომუნისტებს, ასწავლოს ბავშვებს სამშობლოს სიყვარული, აღზარდოს მათში პროგრესისა და სოციალისტური მომავლისათვის მებრძოლი სული. პიონერები მონაწილეობენ მუშათა დემონსტრაციებში და სხვებთან ერთად მოითხოვენ: „ძირს იმპერიალიზმი, წაეთრიეთ იანკებო!“ ისინი საჭმელს აწვდიან გაფიცულ მუშებს, კონცერტებს უტარებენ მათ.

„გიყვარდეს სამშობლო, იბრძოლე მშვიდობისათვის, პატივი ეცი პიონერხელმძღვანელს, შეასრულე მისი ყველა დავალება“, — ასეთია კოლუმბიელ პიონერთა ძირითადი კანონი. პიონერული რაზმი რვა დღეში ერთხელ იკრიბება. ეს შეკრებები პიონერებს ეხმარება კარგად გაერკვნენ მსოფლიოს და თავიანთი ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებაში, აქ ისინი იწრთობიან, სწავლობენ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას, ატარებენ სპორტულ შეჯიბრებებს, კონცერტებს, კონკურსებს. ყოველი ჩატარებული ღონისძიება მნიშვნელოვანი პოლიტიკური საქმეა. რადგან ზრდის, აყალიბებს მომავალ მოქალაქეს. ასეთ შეკრებებზე იღებენ კავშირის ახალ წევრებს, ასწავლიან მათ როგორი ძმობა და მეგობრობა უნდა იცოდნენ პიონერებმა.

ედუარდო როხასი, მაგალითად, წინათ არ იყო პიონერი, მაგრამ მუდამ უყვარდა ხატვა. როცა პიონერთა ორგანიზაციამ კონკურსი გამოაცხადა, ედუარდომ გვირაბი დახატა — შავი გვირაბი და ყვითელი, მზიანი ლაქა! და ასე ახსნა: რაც არ უნდა მძიმე და ხანგრძლივი იყოს მშვიდობისათვის, დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლა, საბოლოოდ ხალხი მაინც გაიმარჯვებს.

ედუარდო როხასის ნახატმა პირველი პრემია დაიმსახურა, ბიჭი საბჭოთა კავშირში გამოგზავნეს, პიონერთა ბანაკ „არტეკში“. სწორედ აქ, „არტეკში“ გადაწყვიტა მან პიონერთა რიგებში შესვლა და სამშობლოში დაბრუნებისას აისრულა კიდეც სურვილი.

ᲨᲔᲯᲔᲠᲜᲘᲡᲘ

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ᲖᲝᲗᲐ ᲘᲜᲬᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘ

საქართველოს 1977 წლის მოსწავლეთა ჩემპიონატში დაწესებული სპეციალური პრიზი საუკეთესო პარტიისათვის მიეცა ორ ჭაბუკს: თბილისის 133-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეს ᲖᲔᲤᲮᲘᲐ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ და ცხაკაიას მე-3 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲐᲩᲘᲑᲐᲘᲐᲡ.

ᲨᲔᲢᲔᲕᲐ ᲝᲠ ᲤᲠᲝᲜᲐᲖᲔ

(ტერიტორიული უპირატესობა და ფიგურათა მოძრავუნარიანობა)

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ № 7

ᲫᲕᲔᲚᲘᲜᲓᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ
Ვ. ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
(თბილისი. პირველთანრიგოსანი)

განსხვავდება ფსიქოლოგიურად ეს თამაშები ცხოველთა სერიოზული მოქმედებისაგან? ხშირად ცხოველთა თამაშობანი და ამ თამაშებისათვის დამახასიათებელი მოძრაობები ისე ჰგავს სერიოზულს, რომ მათი განსხვავება უჭირთ თვით ყველაზე გამოცდილ ეთოლოგებსაც.

კ. ლორენცის აზრით, თამაშებში, განსაკუთრებით ახალგაზრდა ცხოველებისაში, ყოველთვის არის სიახლის აღმოჩენის ელემენტები. თამაში ტიპობრივია განვითარებადი ორგანიზმისათვის. ჩამოყალიბებულ ორგანიზმში თამაშის მოთხოვნილება ქრება. კარლ გროსის მიხედვით, თამაში პრაქტიკული ცხოვრების წინასწარი იმიტაციაა.

კატის კნუტის თათის პირველი დაზვერვითი მოძრაობა ძაფის გორგალიჭკენ, პირველი, ჯერ კიდევ თავშეკავებული, გაუბედავი ცდა—დაიჭიროს იგი ბრჭყალებით, შეიცავს კითხვას: რა არის ეს? არის კი ჩემს წინ საგანი, რომლისკენაც რაღაც მიილტვის ჩემში, რომელსაც მე უნდა

ᲬᲘᲬᲐᲜᲐ

გამოვუდგე, ჩიხში მოვამწყვდიო, დავიჭირო და, ბოლოს და ბოლოს, შევსანსლო? მსხვერპლის აღქმის მემკვიდრული სტერეოტიპი, ანუ იხეთი მემკვიდრული მექანიზმები, რომლებიც იწვევენ „ინსტინქტურ“ სათანადო მოძრაობებს, თავისთავად, მარტივია. ყველა პატარა მრგვალი და რბილი საგანი, ყველა, ვინც და რაც კი სწრაფად მოძრაობს, დაგორავს, ან დაფოფხავს, და რაც მთავარია, „გარბის“, აიძულებს კატას, ავტომატურად, ყოველგვარი წინასწარი გამოცდილების გარეშე ჩაატაროს „თაგვის დაჭერის“ საოცრად დახვეწილი, მოხდენილი, ნატიფი მოძრაობანი.

ᲐᲠᲜ. ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.
ფოტოები — ავტორისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. სახოკია

(თბილისი. პირველთანრიგოსანი)

თბილისი, 1977 წ. ივლისი.

დებიუტში შავებს შეექმნათ პაიკთა კონფიგურაცია — c7—d6—e5, თეთრების c4—d5—e4-ს წინააღმდეგ, რამაც განაპირობა თეთრების ტერიტორიული უპირატესობა ცენტრში და ლაზიერის ფრთაზე, ხოლო მას შემდეგ, რაც შავებმა დააყოვნეს კონტრთამაში მეფის ფრთაზე (f7—f5), თეთრებმა რამდენიმე პროფილაქტიკური სვლით მოუსპეს შავებს მეფის ფრთაზე სივრცის მოპოვებისა და ხაზების გახსნის შესაძლებლობა. თეთრებმა ლაზიერის ფრთაზე განახორციელეს პროგრამული c4—c5, რითაც განდევნეს შავების ერთადერთი აქტიური ფიგურა c5 მხედარი, გახსნეს ხაზები, რამაც თავისთავად დაასუსტა შავების პოზიცია ლაზიერის ფრთაზე და ცენტრში. როგორც ვიცით, შეტევის წარმატებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეალური სისუსტეების არსებობა მოწინააღმდეგის პოზიციაში. შავ ფიგურებს —გარდა ტერიტორიული სივიწროვისა — ბოჭავს მათ ბანაკში შექმნილი სუსტი ადგილები.

ნადირაშვილმა გამოიყენა პოზიციური უპირატესობა (სივრცე, ფიგურებისა და პაიკთა აქტიური განლაგება) და მთელი ფრონტით დაიწყო აქტიური მოქმედება, რამდენიმე მოულოდნელი შეწირვით ელვისებურად დალაშქრა შავების მეფის ფრთა.

1. d4 g6 2. g3 ⚘g7 3. ⚘g2 ♘f6 4. e4 d6 5. 0—0 e5 7. c3 ♘e8

შავებს სურთ თეთრებს ცენტრში პოზიცია გამოარკვევინონ. ცენტრი თუ ჩაიკეტა, ეტლს f8-ზე დაბრუნება მოუწევს, რის გამოც ცენტრში სვლას ნადირაშვილი შეცდომად მიიჩნევს — რათა განხორციელდეს პროგრამული f7—f5. ცნობილია, რომ დახურულ პოზიციაში ტემპის დაკარგვას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ცენტრის ჩაკეტვისას თამაში ფრთებზე ინაცვლებს, ძირითადად პაიკთა მონაწილეობით.

„... თანამედროვე დებიუტებს ხშირ შემთხვევაში დახურული პოზიციები მოსდევს და მათში გადამწყვეტი მომენტი პაიკებით გარღვევაა". (იხ. „პიონერი" № 10. 1974 წ.).

8. d5!

ძახილის ნიშანი ნადირაშვილის დასმულია.

8. ... ♗b—d7 9. c4

თეთრები ამზადებენ პაიკებით შეტევას ცენტრში (d6) და ლაზიერის ფრთაზე.

9. ... ♗c5 10. ♗b—c3 a5 11. h3 ⚘g7 „კიდევ ერთი უზუსტობა შავების მხრივ. ჯობდა ♘f8, ♗e8 და f7—f5" (ნადირაშვილი).

12. ⚘e3 ♘b8?

როგორც პარტიის მსვლელობა გვიჩვენებს, შავები b7—b5-ს (არას ვამბობთ მის ვარგისიანობაზე) არ ანხორციელებენ. დაიკარგა დრო. გაუარესდა ეტლის პოზიცია.

13. a3 b6

რა გასაკვირია, რომ სულ მალე შავები აღმოჩნდებიან სტრატეგიულად წაგებულ პოზიციაში.

14. b4 ♗a6 15. ♘b1 ab 16. ab ♗h5

ამ სვლით იწყება და... ამ სვლაზე იყინება შავების კონტრთამაში.

17. ♕d3!!

ორფლანგიანი თამაშის ჩასახვა.

ნორჩი მოჭადრაკის ჩანაფიქრი იმდენად საინტერესო და მასშტაბურია, რომ ეს სვლა მიზანსაც რომ ვერ აღწევდეს. მაინც მოწონებას იმსახურებს. „17. ♕d3-ის შემდეგ ირკვევა, რომ შავები f7—f5-ს ვეღარ ატარებენ, რადგან თუ 17. ... f5 18. c5 ♘a8 19. c6 ⚘c8 20. ♖c4 fe 21. ♗:e4 ⚘f5 (21. ... ♗f6 22. ♗:f6 ♖:f6 23. ♘a1± 22. ♘a1 ♖c8 23. ♗:d6 cd 24. g4 ♗f6 25. gf gf 26. ⚘:b6± ამით ირკვევა, რომ ♗h5 იყო ტემპის დაკარგვა. თუ 17. g4 ♗f4 18. ⚘:f4 ef და შავების კუ აქტიურად ებმება თამაშში" (ნადირაშვილი). ახლა კი g3—g4 შესაძლებელია.

როგორც ვხედავთ, ამ სვლაში (17. ♕d3!!) შერწყმულია პროფილაქტიკური (იხ. პარტიები გოგლიძე — ნენაროკოვი, კახაბრიშვილი — კობაიძე. „პიონერი" №№ 1, 6. 1976 წ.) და შეტევითი ტენდენციები.

17. ... ♖c8 18. g4!

მეფის ფრთაზე ეს აგრესიული სვლა პირველ რიგში პროფილაქტიკურია — არ დაუშვას f7—f5

18. ... ♗f6 19. ♘f—c1 ⚘f8 20. ♗g3 ♘d8 21. ⚘g5 ⚘e7

22. ⚘f1 ♗fg7 23. ⚘5

თეთრებს მანევრირებისათვის სამი ჰორიზონტალი აქვთ, შავებს კი ფაქტიურად ერთი (მე-8). თეთრებს შეტევის წარმოება ძალუძთ დაფის ყველა მონაკვეთზე, როგორც ცენტრში (d6), ისე ორივე ფრთაზე. ცნობილია, რომ ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც აქტიური მხარე დიდ პოზიციურ უპირატესობას ფლობს და მოწინააღმდეგეს ბრძოლის არც ერთ უბანზე ინიციატივის გამოვლინების საშუალებას არ აძლევს.

23. ... ♘a8 24. cb cb 25. ♗b5 ♖b7 26. ♖f3! ხაზს უსვამს თეთრი ფიგურების მოძრავუნარიანობას. თუ შემთხვევა იქნა, შესაძლოა f1 კუს გადაყვანა b5-ზე, ♗b5—a3 (c3) შემდეგ. გზადაგზა მუქარაა. 27. ♗:d6

26. ... ⚘e8 27. ⚘e3 ♘d—c8?



ეს „ბუნებრივი" სვლა საშუალებას აძლევს თეთრებს ლამაზად დაამთავრონ პოზიცია. „შავებს ეგონათ, რომ 27. ⚘e3-ის შემდეგ ♗:d6 მუქარა აღარ არსებობდა და პოზიციის გამარტივება მოიწადინეს" (ნადირაშვილი). ამჯერად ეს დარტყმა გვევლინება ბრწყინვალე კომბინაციის უვერტიურად, რის შედეგად საომარი მოქმედების თეატრი მეფის ფრთაზე გადაინაცვლებს.

შავების პოზიციაში b6, d6 და h6 კრიტიკული პუნქტებია. „კომბინაცია წარმოიშობა მოწინააღმდეგის პოზიციაში სუსტი და კრიტიკული პუნქტების არსებობისას (კრიტიკულია — როცა თავდასხმა და დაცვა გაწონასწორებულია), რადგან ისინი წარმოშობენ მოტივებს კომბინაციისათვის" (იხ. პარტია გაფრინდაშვილი — პოლიქრონიადე, „პიონერი" № 3, 1976 წ.).

28. ♗:d6!!

თეთრების პოზიციური — აბსტრაქტული უპირატესობა კომბინაციურ, კონკრეტულ სახეს იძენს.

28. ... ⚘:d6 29. ⚘h6+!!

კომბინაციის მწვერვალი! ახლა გასაგებია თეთრების 28-ე სვლის მიზანი. მხედრის შეწირვით შავების მეფის პოზიციაში შეიქმნა კიდევ ერთი კრიტიკული პუნქტი — f6, რამაც გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა კომბინაციის განხორციელებისათვის. კუს შეწირვაში ჩაქსოვილია ორი იდეა: „ჩათრევა" h6-ზე და „გატეხვა" f6-დან. თუ ახლა 29. ... ♔g:h6, მაშინ 30. ♖:f6 გარდუვალი შამათით. ამიტომ:

29. ... ♔fg8 30. ♖:f6

კომბინაციამ გამოიწვია f6 და h6 პუნქტების მეტამორფოზი: ისინი იქცნენ სუსტ პუნქტებად (თეთრებისათვის ძლიერად). შეწირვებით თეთრებმა ერთბაშად მიაღწიეს ძალთა უპირატესობას მეფის ფრთაზე, რომელიც მოულოდნელად ბრძოლის მთავარ გადამწყვეტ უბნად იქცა.

30. ... ⚘f8 30. ♗f5! შავები დანებდნენ 31. ... ⚘:h6 32. ♗:h6+ ♔f8 33. d6 ან 31. ... gf 32. ♖g5+ ♔h8 33. ⚘:f8 გამო.

მოხდენილი ფინალური პოზიციაა.

ნორჩმა მოჭადრაკემ მთელი პარტია ჩაატარა, როგორც ნამდვილმა ოსტატმა!

შეცდომის გასწორება

„პიონერის" №-8-ში, 32-ე გვერდზე დაბეჭდილი დიაგრამა უნდა იყოს ასეთი:





მართალია, ჯერ თოვლამდე სადა ვართ, მაგრამ დაიხსომე: თუ გინდა მოლიპულ თოვლზე, ან ყინულზე ფეხი არ დაგისხლტეს, დააკვირდი ამ ნახაზს და ფეხსაცმელებს ქუსლებზე ასეთი ფორმის მავთული ჩამოაცვი.



თერმოსის მინის კოლბას თუ 5-10 სანტიმეტრი სისქის პოროვან რეზინს შემოახვევ და ფსკერთანაც რაიმეს ჩაუფენ, მაშინ შემთხვევითი დარტყმა თერმოსს ველარ ავნებს და დღეგრძელობა გაუხანგრძლივდება.

იატაკის საწმენდ ან საპრიალებელ ჯაგრისზე შეგიძლია ძველი ფეხსაცმელები დაამაგრო. ეს გაციცლებით გაგიადვილებს იატაკის გაპრიალებას.

ჭურჭლის გასარეცხად კარგი იქნება პერლონის პატარა ტომსიკაში საპნის ნაჭერი ჩადო.

ძილის დროს ბავშვს საბანი გადაეხდება ხოლმე. ამ გასაჭირს იოლად გადაურჩები, თუ მამაკაცის აჭიმის ერთ წვეროს ლეიბს ქვემოდან მიამაგრებ, ხოლო მეორეს საბანზე მიაბნევ. (დახედე ნახაზს).

კედელზე ან კარადის კარზე ხელსაწყოების მისამაგრებლად კარგია რეზინის მილის გადანაჭრების გამოყენება.

გთავაზობ კიდევ ერთ მეთოდს, თუ როგორ უნდა ჩააჭედო ლურსმანი ძნელადმისადგომ ადგილას.



საკითხავი

ა. გოგოხიძე — სექტემბრის ზარი (ლექსი) . . . გარეკ. . 1
ო. კუსიანი — „ცისკარი" — 77 (ნარკვევი) 1
ვ. კოხრეიძე — დიდი ისტორიული დოკუმენტი (საუბარი მეორე) 4
გ. ვარაზანაშვილი — ცხენი (მოთხრობა) 7
ზნეობის ანბანი — სიამაყე 10
ჩვენთან სტუმრად არის ესტონეთის სსრ საბავშვო ჟურნალი „პიონერი" 12
ი. ნარიმანიძე — მთვარისხივა გოგონა და გაგა ბიჭი (მოთხრობა) 21
ახალი წიგნები 23
გრ. ზარდალიშვილი — როგორ გაზომეს დედამიწა (წერილი) 23
კონკურსი — „ოქტომბერი ჩვენს გულებში" 24
ია და ტიტა; რა დაემართა გუგულს — (გერმანული ხალხური ზღაპრები) 26
ლ. შევარდნაძე — ჯანსაღი კბილებისათვის (წერილი) . . 27
ა. გეგეჭკორი — ცხოველთა თამაშები (წერილი) . . . 27
შენი უცხოელი თანატოლები 30
მხედრიონი 30
საზრიანის ხელში 32
ყურადღება, სტარტზე! . . . . . გარეკ 3
„ცხრაკლიტული" . . . . . გარეკ. 3

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა — იოსებ სამსონაძისა.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი გაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-08 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 22/VII-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/IX-77 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 2437. ტირ. 146.000. უე 06711.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

© „პიონერი", 1977 წ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ყურადღება, ფეხზე!

ეს ვარჯიში



პირველი ვარჯიში. დადექი სწორად. აიწიე ფეხის წვერებზე, ხელები გაშალე, ღრმად ჩაისუნთქე. ხელები და თავი ჩამოუშვი. ამოისუნთქე. მოდუნდი.

მეორე ვარჯიში. ოდნავ მოხრილი თითებით მხრებს შეეხე. იდაყვები უკან გასწიე და ასე, მოხრილი მკლავები დაატრიალე, ჯერ უკანიდან მაღლა და წინ, შემდეგ წინ, მაღლა და უკან.





მესამე ვარჯიში. ჩაბუქნე, წინ ნუ გადაიხრები, ხელები წინ გაშალე. წამოიწიე, მუხლები გამართე და ხელისგულები იატაკს შეახე.

მეოთხე ვარჯიში. ფეხები გაშალე მხრების სიგანეზე, წინ გადაიხარე. მკლავები მოადუნე და ძირს დაუშვი. ტანი ჯერ მარცხნივ მიაბრუნე, შემდეგ მარჯვნივ, თავი იქით მიაბრუნე, საითაც ტანს აბრუნებ.

მეხუთე ვარჯიში. ფეხები გაშალე, კედლისგან ერთი ნაბიჯის დაშორებით ზურგშექცეული დადექი. ტანი მარცხნივ შემოაბრუნე და კედელს ხელებით მიეყრდენი. იგივე მოძრაობა მეორე მხარესაც გააკეთე. ტერფები არ გადააადგილო.

მეექვსე ვარჯიში. კედლისკენ პირშექცეული დადექი. წელგამართული „წაიქეცი" წინ და მოხრილი ხელებით კედელს მიეყრდენი. კედელს ხელები ჰკარი და გაიმართე. ტაში შემოჰკარი, ისევ წინ „წაიქეცი" და ისევ ხელებით მიეყრდენი კედელს.



მეშვიდე ვარჯიში. მკლავები გაშალე. აიქნიე მარჯვენა ფეხი და წინ გაშვერილ ხელს მიადე, ახლა ეს მოძრაობა მეორე ფეხით გააკეთე.

მერვე ვარჯიში. დოინჯი. გამართული მარცხენა ფეხი გვერდზე, რაც შეიძლება შორს გადადგი, სიმძიმე ზედ გადაიტანე და იმ ფეხზე ჩაჯექი. ახლა ეს ვარჯიში მეორე ფეხითაც გააკეთე.

მეცხრე ვარჯიში. დოინჯი. მარცხენა ფეხზე იხტუნე. მუხლში მოხრილი მარჯვენა ასწიე და გააჩერე. მარჯვენა ფეხზე იხტუნე, მუხლში მოხრილი მარცხენა ასწიე და გააჩერე.

მეათე ვარჯიში. ჩვეულებრივ, სწრაფად იარე ერთ ადგილზე. თანდათან შეანელე ნაბიჯი და გაჩერდი. ეს მსუბუქი ვარჯიშები ყოველ დილით, საუზმემდე უნდა გააკეთო.

გამოცანები

ერთი მუშა მწერი არის,
სასარგებლო მეტად,
პაწაწინა ხორთუმი აქვს,
მწარედ იცის ჩხვლეტა;
შენ რომ სიტკბო დაგიმზადოს,
სვამს ყვავილის ნექტარს.

შ. ამირანაშვილი.

ზემოთ ჰკიდია რკინის ყბა,
აქვს ენა-პირი რკინისა,
როდესაც ენა იძვრება
ისმენ რკინის ყბის კივილსა.

გ. წერეთელი.

პასუხი № 8-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

შარადა

ზებრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

იალაღზე.

პაატა ხინთიბიძე. ქ. მახარაძის მე-2 საშუალო სკოლა. VI კლასი.

*

*

„ეს იყო წინათ".

ვერაგ ტუნაძე. ხულოს რაიონის სოფელ ქედლების სკოლა-ინტერნატი, IX კლასი.

*